პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მეორე
ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო

18 თებერვალი
შაბათი

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის
ქ. № 4. რედაქცია ღიაა
ყოველ დღე გარდა
უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო
კოლეგ. № 14—76 მდივნის
№ 19 საერთო №

№ 39 შაბათი, 18 თებერვალი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 18 თებერვალი 1922 წ. № 39

ორშაბათს, 20 ამა თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში (კირკის ქუჩა) შესდგება

თბილისის ქალაქის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების პლენუმის კრება

დღის წეს-რიგი:

1. საფინანსო საკითხი.
2. მოხსენება ქალაქში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ.
3. თბილისის ქალაქის სახ. განათლების განყოფილების მოხსენება.
4. დელეგატების არჩევა სრულიათ საქართველოს ყრილობისათვის.

საბჭოს ყველა წევრის დასწრება დელეგატების არჩევის გამო სავალდებულოა.

(3—2) **პრეზიდიუმი**

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა

თითქმის ერთი წლის თავზე საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ჩვენში, იკრიბება დღეს თბილისში ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობა.

„ერთი და სამ პიროვანი მუსავატის“, მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელების გაბატონებამ ამიერ-კავკასიაში დაანგრია ერთიანობა მხარის, დაჰყო ის ნაციონალურ ერთეულებათ, შემოავლო მათ გამთიშველი ზღუდეები და შოვინისტური პოლიტიკის წარმოებით გადაჰკიდა ერთმანეთს წინათ საერთო ბრძოლის ქვაბში ჩაბმული ერები. ამის შედეგი იყო შერყევა და შემდეგ დარღვევა ამიერ-კავკასიის მშრომელთა ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის, დაქუცმაცება მოძრაობის, დაქსაქსვა ძალების და დაცემა ბრძოლის ენერგიის. ამ საერთო დაცემისა და დარღვევის პროცესში შეიქნა ძალაუნებურათ ჩათრეული რევოლიუციონური ავანგარდი პროლეტარიატის, მისი პოლიტიკური ორგანიზაციები. მოწყვეტილნი ნაციონალურ რესპუბლიკების ფარგლებში, რომლებიც მუდამ ფარულ და ხანდახან აშკარა სისხლიან ომს აწარმოებდენ ურთიერთშორის, დევნილნი გაბატონებული პარტიების მიერ როგორც საქართველოში, ისე სომხეთში და აზერბეიჯანში, ისინი დასუსტდნენ, დაჰკარგეს მათ ორგანიზაციული კონტაქტი ერთმანეთ შორის. ცოტა თუ მეტი განსხვავებით ისინი წარმოადგენდნენ ორგანიზაციის ნანგრევებს, ხშირათ გაფანტულ ერთეულების მტვერს, ვინემ რაიმე სისტემატიურ კავშირს. ყოველი კამპანია არა თუ პოლიტიკური გაერთიანებისათვის, თვით საერთო პოლიტიკური მიზნით (მაგ. 1919 წელში) თავდებოდა დამარცხებით იმ ძალადობის გამო, რომელსაც მიმართავდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი სამივე გაბატონებული პარტიის სახით თავის ძალთა კოორდინაციისაკენ მლტოლველ პროლეტარიატის წინააღმდეგ. შიში ძალა-უფლების დაკარგვის და მშრომელთა დიქტატურის აიძულებდა ხელისუფალთ სასტიკი ბრძოლა ეწარმოებიათ კავკასიის მუშათა კლასის და მისი რევოლიუციონური პარტიის წინააღმდეგ, რომლებიც მომწყვდეული შეიქნენ ურთიერთ შორის ბრძოლაში ჩაბმულ ბურჟუაზიული რესპუბლიკების ფარგლებში.

საბჭოთა ძლაუფლების გამოცხადებამ ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ დანარჩენ ორ რესპუბლიკაში, ბოლო მოუღო როგორც ამ რესპუბლიკების კარჩაკეტილობას, ისევე კავკასიის პროლეტარიატის განცალკევებას და აგრეთვე მისი პოლიტიკური რევოლიუციონური პარტიის დაქსაქსვას. იწყება აღდგენა გარღვეული ფრონტის, მისი გამთლიანება მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბში. ცხადია ეს გამაერთიანებელი მუშაობა, ღრმათ შეგნებული მასებში, უნდა დაეწყო ავანგარდს ამიერ-კავკასიის მუშებისას, მათ კომუნისტურ ორგანიზაციებს. ორჯერ მოწვეული ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების თათბირი, რომელთაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს, შესავალი იყო იმ საერთო გამაერთიანებელი მუშაობის, რომელიც იპოვის დღეს მოწვეულ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაში უმთავრეს გამოხატულებას და მტკიცე გზას.

ეჭვს გარეშეა, რომ არავითარ ჭეშმარიტათ და საბოლოოთ გაერთიანებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ აღმშენებლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, მით უმეტეს ამ საალმშენებლო მუშაობის გატარება, როგორც ეს ჩვენი სინამდვილისათვის არის საჭირო, მანამ, სანამ ურყევ სინამდვილეთ არ შეიქნება მტკიცე კავშირი, ძალთა გაერთიანება თვით ამიერ კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების, რომლებიც სათავეში უდგანან საბჭოთა ამიერ-კავკასიას. საკითხი საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული გაერთიანების, საკითხები სასოფლო მეურნეობის, ტრანსპორტის, მრეწველობის, არმიის, კოოპერაციის, პროფკავშირების და პარტიული აღმშენებლობის შესახებ, რომლებიც შეადგენენ ყრილობის განხილვის საგანს, ვერ იქნებიან სათანადოთ გადაჭრილი, მით უმეტეს ცხოვრებაში გატარებული, მჭიდრო და მტკიცე კავშირის გარეშე, რომელიც უნდა მოგვცეს სიეზდმა.

გაერთიანებული ფრონტით, მტკიცე ნებისყოფით, ამიერ კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები გამოვლენ სიეზდის მიერ გარკვეულ ფართო ბრძოლის გზაზე, სადაც ისინი შეხვდებიან ავანგარდს რუსეთის და მსოფლიო რევოლიუციისას, რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

ნ. კრედო.

ამიერ-კავკასიის კოოპერაციის გაერთიანება

ამიერ-კავკასიის ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციების გაერთიანება ჩვენი დროის გადაუდებელი ამოცანაა. თუ მართალია ის დებულება, რომ „ძალა ერთობაშია“, მით უფრო ითქმის ეს ამ გაერთიანებაზე, ვინაიდან ქვეყნის ეკონომიურათ გაძლიერებისათვის აუცილებელი საჭიროა ყველა ეკონომიურ ორგანიზაციების, როგორიც არიან ამ შემთხვევაში სხვადასხვა სახის კოოპერატივები, ძალღონის გაერთიანება, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ამიერ-კავკასია, რომელიც წარმოადგენს ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულს. მაგრამ ეს ეკონომიური ერთეული დანაწილებულია სამ ეროვნულ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებათ, რომლებშიაც ცალ-ცალკე არსებობენ კოოპერატიულ ორგანიზაციების გამაერთიანებელი ეროვნული ცენტრები: ცეკავშირი ჩვენში, აზკავშირი აზერბეიჯანში და სომხკოპი სომხეთში. ამ ცალკე კოოპერატიულ ორგანიზაციების ცენტრების დამოუკიდებელი და ერთმანეთთან შეუთანხმებელი მუშაობა, რასაკვირველია ძალიან აფერხებს ამ სამივე რესპუბლიკის ეკონომიურათ აღორძინების საქმეს, განსაკუთრებით მეურნეობის არევდარევის იმ მძიმე მდგომარეობაში, რომელშიაც ვიმყოფებით ჩვენ დღეს.

ვინ არ იცის, სპეკულიაციის თუ რა ვაკხანალიაა გამეფებული დღეს ბაზარზე თავისუფალ ვაჭრობის გამო, ვინ არ იცის, თუ როგორ სარგებლობენ ამითი მსხვილი გამოქნილი სპეკულიანტები და ისრისებიან სახელმწიფოსა და საწარმოვო დაწესებულებათა მოსამსახურენი და მუშები. ამ შემთხვევაში კოოპერაციის გამოსვლას თავისუფალ ბაზარზე და მის სავაჭრო ოპერაციების ენერგიულათ წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ მას შეუძლია შეებრძოლოს კონფერენციით იმ წვრილ ბურჟუაზიულ ტალღას, რომელიც სულ უფრო და უფრო აშკარათ წმინდა გაბოროტებულ სპეკულიაციის ხასიათს ღებულობს. ამას კი კოოპერაცია შესძლებს მხოლოთ მაშინ, როდესაც წელში გამსული, მოღონიერებული და გაერთიანებული იქნება. ამიტომ მომენტი გადაუდებლათ მოითხოვს ამ კოოპერაციის მჭიდროთ გაერთიანებას ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

ცხადია, ამის საჭიროება ყველაზე უწინ უნდა შეეგნო იმას, ვინც დარაჯათ უდგას მშრომელი მასსების ინტერესებს, ვინც მოწოდებულია გამოიყვანოს მუშებისა და გლეხების ქვეყანა იმ ეკონომიურ არევ-დარევისაგან, რომელშიაც ჩააგდეს ის მუშათა კლასის აშკარა თუ ფარულმა მტრებმა, უნდა შეეგნო მუშათა კლასის რევოლიუციონურ წინამძღოლს, საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

და მართლაც, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიმუშავა თეზისები, რომლებიც იბეჭდება დღეს ჩვენს გაზეთში, და რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ჩვენმა ამხანაგებმა ამ გაერთიანების კამპანიის გასატარებლათ. ამ თეზისებში ხაზი აქვს გასმული იმას, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს კოოპერატივებს ცალ-ცალკე განკერძოვებულათ არსებობას, ვინაიდან, მათი ასეთ პირობებში მუშაობა აძნელებს ქვეყნის ეკონომიურ აღდგენას და ვერ იჩენენ ისინი დიდ ნაყოფიერობასა და წარმატებას თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში, იმ დროს, როდესაც მათი როლი ამ სფეროში სულ უფრო და უფრო იზრდება.

მაგრამ კითხვა ისმება: როგორ უნდა მოხდეს ეს გაერთიანება, რა სახე უნდა მიიღოს მან, რა ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს ის? დეტალურათ ყველა ამ კითხვებს გაარჩევს სამივე რესპუბლიკის კოოპერატივის ცენტრების კომისია, აქ კი ჩვენ აღვნიშნავთ ზოგადათ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ **გაერთიანებაზე** და არა **გათქვეფაზე**. ამ მხრივ ეს არ იქნება ამიერ-კავკასიის ძველებური ერთიანი კოოპერატიული ორგანიზაციის აღდგენა, ვინაიდან დღეს ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციასა, სომხეთის კოოპერატიულ ორგანიზაციასა და აზერბაიჯანის კოოპერატიულ ორგანიზაციასთან, რომლებმაც კავშირი უნდა შეჰკრან ერთმანეთთან ხელშეკრულებითი ნიადაგზე საერთო მიზნების მისაღწევათ და მათთვის საბრძოლველათ ეკონომიურ ფრონტზე. ეს კავშირი და მისი მუშაობა უნდა გამოიხატოს, როგორც ეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის თეზისებშია აღნიშნული, მოკლეთ შემდეგში: კონკურენციის მოსპობა სხვა და სხვა კოოპერატივებს შორის შინაურ ბაზარზე, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს იმ პირობით, რომ ერთი რესპუბლიკის კოოპერატივთა ცენტრი თავს შეიკავებს აწარმოვოს თავისი სავაჭრო ოპერაციები მეორე ან მესამე რესპუბლიკის შინაურ ბაზარზე, რომელიც უნდა იყოს შესაფერისი რესპუბლიკის კოოპერატივთა ცენტრის ხელში, მაგრამ ამავე დროს ამ გაერთიანებული კავშირის სოლიდარული მუშაობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმ მხრივ, რომ სავსებით იქნეს გამოყენებული ურთიერთი შესაძლებლობანი; როგორც, მაგალითად, ზედმეტ ნაწარმოებთა ურთიერთ გაცვლა-გამოცვლა, ერთი მეორისათვის სხვა და სხვა საშუალებებით დახმარების აღმოჩენა და სხვ.

ხოლო რაც შეეხება საგარეო ბაზარზე გამოსვლას, ამიერ-კავკასიის ფარგლების გარეშე, ეს, რასაკვირველია, უეჭველათ მთლიანი და მჭიდროთ გაერთიანებული ხასიათის უნდა იყოს, ვინაიდან საგარეო ბაზარზე გამოსული რომელიმე ეკონომიური ორგანიზაცია ან ცალკე პირი მით უფრო ნაყოფიერათ და წარმატებით აწარმოებს თავის ოპერაციებს, რაც უფრო ღონიერი და ძლიერია ის ეკონომიურათ. ამ მხრივ კოოპერაცია გაერთიანებულათ გამოსული ამ საგარეო ბაზარზე უფრო მეტ ნაყოფიერ შედეგებს მოგვცემს, ვინემ ცალკ ცალკე და დაქსაქსულათ, რადგან მაშინ ის იქნება მეტად სუსტი და უძლური ეკონომიურათ.

ამ გვარათ ენერგიულათ უნდა შევეცადოთ, რომ ამიერ კავკასიის კოოპერატივი ეს გაერთიანება რაც შეიძლება მალე გატარებული იქნეს ცხოვრებაში ჩვენი რესპუბლიკების ეკონომიურ წარმატებისათვის.

კ. კომუნიძე.

ბავშვები დავიხსნათ

ნაციონალისტების თებერვლის „გამოსვლამ“ მარტო ის კი არ დაგვანახა, რომ მათ ქართველ ხალხში ბავშვების გარდა არავის მოტყუება არ შეუძლიანთ, არამედ ისიც, თუ როგორ არა საიმედო ხელშია ამ ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმე და როგორ იყენებენ ეს ვაჟბატონები ამ უკანასკნელთ თავის ბნელ და საზიზღარ საქმეებისათვის. შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ასეთი სისაძაგლის დაშვება და შეწყნარება. სკოლები საფუძვლიანათ უნდა გაიწმინდონ საზიზღარ და ბინძურ ელემენტებისაგან და ბავშვები განთავისუფლდნენ ნაციონალიზმის შხამისაგან. ის წუმპე, რომელიც ამ ვაჟბატონებმა დააყენეს ჩვენს სკოლებში, დაუყონებლივ უნდა ამოშრეს, როგორათაც არ უნდა მოხერხდეს ეს. სკოლის სახით და ისიც საბჭოთა სკოლის სახით პოლიტიკური გარყვნილების გავრცელებასა და ბავშვების მოწამვლას გზა უნდა გადაეჭრას.

თუ გვწამს მომავალი და მისი იმედით ვცხოვრობთ, გულ გრილათ ვერ შევხედავთ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეს. სკოლას ზოგიერთ შემთხვევაში არც ოჯახი ჩამორჩება და ისიც ამ მხრივ ზოგჯერ გამრყვნელ გავლენას ახდენს ბავშვებზე. ოჯახის ეს როლი ცნობილია და მას სახელმწიფო სკოლის საშვალებით უნდა შეებრძოლოს. სკოლა კი რომ ასეთი იარაღათ გახდეს სახელმწიფოს ხელში და რომ სახელმწიფომ სკოლის საშვალებით ამ მხრივ დაიხსნას ბავშვები, საჭიროა თვით სკოლა იდგეს სათანადო სიმაღლეზე. მე აქ არ ვწერ პროექტებს სკოლის რეფორმისას მაგრამ ამ ხანად კი საჭირო და მოსახერხებლათაც მიმაჩნია გამრყვნელ აღმზრდელებისაგან სკოლის განთავისუფლება, მართალია კომუნისტ პედაგოგების რიცხვი საკმაო არაა, მაგრამ მრავალია უწყინარი უპარტიო მუშაკი —პედაგოგები და ასეთებით უნდა შეიცვალოს ბავშვის ბუნების სუფთა ფიცარზე საზიზღარ ხელით, საზიზღარ საქმის დამწერი ვაჟბატონები. ასეთ მასწავლებლებს ნაციონალიზმით მოშხამულ მყვირალა ხალხზე მეტი ჭეშმარიტი საქმის გაკეთება შეუძლიანთ და საჭიროა მათი გამოყენება, მათი უფრო დიდ მუშაობაში ჩაბმა.

საბჭოთა ხელისუფლების ლმობიერება ერთი ბ შორს არ უნდა წავიდეს და შავი ნაციონალისტების თავხედობა დროით და სასტიკათ უნდა აილაგმოს. სჯობს დაისაჯოს ერთი გაუსწორებელი კონტრევოლიუციონერი, ვიდრე დამახინჯდეს ათასობით ბავშვთა გონება.

ეს საშური საქმეა და დაყოვნება არ გვ[illegible]ს. ბავშვები დავიხსნათ.

გ. მებუკე.

ამიერ-კავკასიის კოოპერაციის გაერთიანება

თეზისები

1. ამიერ-კავკასიის კოოპერაციის გაერთიანება წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სრული ეკონომიურ გაერთიანების ერთ-ერთ მორიგ ეტაპს, ხოლო ამ გაერთიანების აუცილებლობა დადასტურებულია უმაღლეს პარტიულ ორგანოებისა და შეგნებული ამიერ კავკასიის ხალხების ფართე მასსების მიერ.

2. ამიერ-კავკასიის კოოპერაციის მუშაობის სპეციალური პირობები ამ გაერთიანებას განსაკუთრებით საჭიროთ და სასწრაფოთ ხდიან.

3. ეს პირობები საგრძნობია ორი მხრით: ჯერ ერთი, აუცილებლათ საჭიროა მოისპოს კოოპერატივების შეუთანხმებელი მოქმედება ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის შინაგან ბაზრის მოხმარების სფეროში. მეორე, აუცილებლათ საჭიროა აგრეთვე რიგზე მოეწყოს კოოპერაციის გამოსვლა საგარეო ბაზარზე.

4. ხსენებულ შეუთანხმებელ მოქმედების და მასთან დაკავშირებულ ერთმანეთთან მეტოქეობის მოსპობა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ერთი რესპუბლიკის კოოპერატიული კავშირი ხელს აიღებს დამოუკიდებელ ოპერაციების წარმოებაზე მეორე რესპუბლიკის შინაგან ბაზარში, რომელიც იმყოფება ამ მეორე რესპუბლიკის კოოპერატიულ კავშირის ხელში.

კოოპერაციის მოქმედების შინაგან სფეროების ასეთ განსაზღვრასთან ერთად, უნდა უზრუნველყოფილ იქნას კოოპერატიულ კავშირების სოლიდარული მუშაობა იმ მხრივ, რომ მათ ერთმანეთს დახმარება გაუწიონ და გამოიყენონ ყოველი შესაძლებლობა, რომელიც კი აღმოჩნდება შინაგან ბაზრებზე და ერთმანეთს გაუცვალონ ზედმეტი საქონელი და ის საშუალებანი, რომლებიც მათ ხელთ აქვთ და სხვა.

5. საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის ფარგლების გაფართოვება კოოპერაციის დამოუკიდებლათ გამოსვლის დაშვების აზრით საგარეო ბაზარზე საგარეო ვაჭრობის კომისარიატთან ერთათ, მოითხოვს რამდენიმე სიფრთხილეს, ხოლო უმთავრესათ იმის რწმენას რომ გეგმიანი საგარეო ვაჭრობა, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო, არ იქნება შეუმჩნეველი მრავალ კოოპერატიულ ორგანიზაციების შეტევით, დ რომ პირიქით ოპერაციები საგარეო ბაზარზე სოლიდარულათ იქნება მომზადებული და ნაწარმოები რაც შეიძლება უფრო მსხვილ კოოპერატივთა გაერთიანებების მიერ. ვინაიდან არსებობს ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, კოოპერაციის მოქმედების გაერთიანებაც საგარეო ბაზარზე უნდა განხორციელებულ იქნას იმავ მასშტაბით, რომლითაც მოქმედებს საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, ესე იგი მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

6. ამიერ-კავკასიის კოოპერაციის გაერთიანება უნდა ორგანიზაციულათ მოეწყოს: უნდა შეიქმნას ცენტრი თანასწორ წარმომადგენლობის საფუძვლებზე ამიერ-კავკასიის ყველა სამ რესპუბლიკის ცენტრალურ კავშირებისგან; მასში უნდა შევიდნენ აგრეთვე მსხვილი „ზე-ეროვნული“ კოოპერატიული ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ ამიერ-კავკასიის მასშტაბით, სახელდობრ ამიერ-კავკასიის სამხედრო კოოპერატივების კავშირი და ამიერ-კავკასიის ცენტრალური სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება.

ცენტრის ამოცანას უნდა შეადგენდეს: ოპერაციების წარმოება საგარეო ბაზარზე, მოწესრიგება სავაჭრო და სხვა ურთიერთობისა ამიერკავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციებისა ერთმანეთთან და მათი დამოკიდებულება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან: ტრანსპორტის და მსხვილ სამრეწველო წარმოებით საერთო ორგანიზაცია, ფინანსიურ ცენტრის შექმნა, გამოცემა კოოპერატიულ სესხისა და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა თავის 15 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: დამშეულთა დასახმარებელ ფონდის გასაძლიერებლათ დაუყოვნებლივ შემოღებული იქნეს შემდეგი გადასახადები: დასავლეთ ევროპიდან შემოტანილ საქონელზე, ბანკების და ნოტარიუსების ყოველ გვარ ხელშეკრულებებზე პროცენტული გადასახადი. სათანადო ინსტრუქციის სასწრაფოთ გამომუშავება დაევალოს ფინსახლკომს ამხ. სვანიძეს.

გადასახადი ღვინოზე, საგანგებო მარკების საშუალებით, ურომლისოდაც არ ექნება უფლება არავის გაჰყიდოს და იყიდოს ღვინო; ინსტრუქციის გამომუშავება დაევალოს აქციზთა მთავარ სამმართველოს.

შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული საფოსტო მარკები, ურომლისოდაც არ გაიგზავნება არავითარი კორესპონდენციები: ინსტრუქციის გამომუშავება დაევალოს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

აგრეთვე დაედოს ერთდროული ბეგარა რესპუბლიკის მცხოვრებთა შეძლებულ ნაწილს: ვაჭრებს და სხ.

მთელი შემოსავალი აღნიშნული გადასახადებისაგან გადაეცეს დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

სამდღეული დამშეულთა სასარგებლოთ

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა თავის 15 თებერვლის სხდომაზე აირჩია დამშეულთა სასარგებლოთ მთელ საქართველოს რესპუბლიკაში სამდღიურის მომწყობი კომისია რომელშიაც შედიან: ნ. მახარაძისა, გასვიანი, ნ. ნაკაშიძისა, მ. ფრანზონისა, ვ. ჯაფარიძე, ზ. ორჯონიკიძისა, მ. ბარტონი, მ. ჰარისი, მ. იაროუ, მ. გაბაევისა, ქ. ამირაჯიბი, მ. გველესიანი, ქ დუმბაძისა, მ. ენვერი, შ. დადიანი და მ. ბერიძესა.

კომისიის პირველი სხდომა შესდგება კვირას, 19 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ბინაზე.

გენუას კონფერენციისათვის

საფრანგეთის ნოტა.

მოსკოვი. 17 თებერვალი, (რადიო). რეიტერის სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალურად საფრანგეთის ცნობილი ნოტის შინაარსი გენუას კონფერენციის შესახებ. ნოტა იწყება განცხადებით, რომ საფრანგეთს შეეძლო თავს შეეკავება კონფერენციაზე ყოველგვარ მონაწილეობისაგან, რომ მოწვევა მიღებული ყოფილიყო პირობებზე, რომლებიც შელახავდა საფრანგეთის ინტერესებს. შემდეგ ნოტა აღნიშნავს, რომ თუმცა 8 იანვარის ჩიჩერინის დეპეშა გამოხატავს საბჭოთა მთავრობის დათანხმებას კანის რეზოლიუციაზე, მაგრამ ეს არ ყოფილა დადასტურებული ოფიციალურად. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ თავის ოფიციალურ პასუხში სრულიად არ იხსენიებს კანის პირობებს. ამიტომ, განაგრძობს ნოტა, რომ საბჭოთა მთავრობას თავის ოფიციალურ პასუხში აღენიშნა, რო ის არ იღებს მთლიანად კანის პირობებს, მაშინ საფრანგეთი არ გაგზავნიდა თავის დელეგაციას გენუას კონფერენციაზე. თუ საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას გენუას კონფერენციაზე ამისთვის არსებითად საჭიროა რომ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის მოხდეს სრული შეთანხმება მისი პროგრამის გაგებაში. ამიტომ უნდა აღვნიშნოთ, რომ, რადგანაც კანის რეზოლიუციის პრინციპების განხორციელება პირველი მუხლია ამ პროგრამაში, სასურველი იქნებოდა მოკავშირეების შეთანხმება ამ პრინციპების გაგებაში.

„გადადების“ საკითხის გარშემო.

მოსკოვი. 17 თებერვალი (რადიო). „დეილ გერალდის“ და „ტაიმსის“ ცნობებით ბრიტანეთის მთავრობა კატეგორიულად უარსყოფს კონფერენციის სამი თვით გადადებას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ის დასთანხმდეს ერთი თვის ვადით. რაც შეეხება იტალიას, როგორც ოფიციალურად იტყობინება რეიტერის სააგენტო, ის გადაჭრით წინააღმდეგია კონფერენციის ყოველგვარი გადადებისა და საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იტალიის ახალი მთავრობა გამოიცვლის თავის შეხედულებას. „ჟურნალი“ იტყობინება, რომ ინგლისი და ამერიკა არ დათანხმდება გენუას კონფერენციის სამი თვით გადადებაზე, რადგანაც ორი კვირის მოსამზადებელი მუშაობა სრულიად საკმარისი იქნება კონფერენციისათვის. რომის წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ იტალია, მომხდარ მინისტრთა კრიზისის გამო, წინადადებას წამოაყენებს კონფერენციის გადადებისას, მაგრამ გაცილებით უფრო მოკლე ვადით ვიდრე საფრანგეთის მოითხოვს.

წინასწარი თათბირი:

მოსკოვი. 17 თებერვალი, რადიო. ბორდოდან 13 თებერვლის თარიღით იტყობინებიან: ინგლისი დაჟინებით მოითხოვს, რომ, წინასწარი თათბირი, რომელიც უნდა მოწვეულ იქნას კანის დადგენილების თანახმად, გაიმართოს ლონდონში.

ამერიკა ლოდინის პოზიციაზე სდგას.

მოსკოვი. 17 თებერვალი, რადიო. პოლდიუს ცნობებით პრეზიდენტმა გარდინგმა და მინისტრების კაბინეტმა გადასწყვიტეს იტალიის წინადადების პასუხი მოწვევის შესახებ ჯერ-ჯერობით შეაჩერონ.

სამზადისი მუშაობა კონფერენციისათვის.

პარიზი, 16 თებერვალი (რადიო). საფრანგეთის მთავრობა ლოიდ ჯორჯის წინადადების საპასუხოდ ექსპერტების თათბირის მოწვევის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი უერთდება ამ წინადადებას, ამასთანავე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომისია ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხების შესახებ უკვე მუშაობს.

ნაუენი, 16 თებერვალი (რადიო). ყველა მინისტრთა წარმომადგენლების თათბირი შეუდგა გენუას კონფერენციის ეკონომიურ პროგრამის ყველა

მუხლების დაწვრილებით განხილვას. თათბირი ძლიერ ფრთხილად უდგება იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ევროპის პოლიტიკურ სიტუაციასთან და კმაყოფილდება მხოლოდ ეკონომიურ საკითხებით.

მცირე ანტანტა და გენუა.

ბერლინი, 16 თებერვალი (რადიო). ბენეში ხუთშაბათს წავიდა პარიზიდან ლონდონში მცირე ანტანტის წარმომადგენელთა ექსპერტთა წინასწარ თათბირში და გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ მოსალაპარაკებლად. საფრანგეთის პრესა დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ გამგზავრებას და დიდ მნიშვნელობას აძლევს მას.

რუსეთის მონაწილეობისათვის კონფერენციაში.

პარიზი, 18 თებერვალი. „ტანი“ რუსეთის მიერ გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ სწერს, რომ მას სასურველად მიაჩნია გამოსთქვას ორი სურვილი:

1. იმ დღეს, როდესაც სახელმწიფოები თავიანთ წარმომადგენლების სახით რუსეთის დელეგატების თანადასწრებით შეუდგებიან ბოლშევიკურ რუსეთთან დამოკიდებულების განხილვას და რუსეთის საქმეებს, მათ უნდა მოითხოვონ რუსეთისაგან ცნობილი გარანტიები. გაზეთი თავს ვერ იკავებს ამავე დროს, რომ არ აღნიშნოს, რომ რუსეთი თუ იქნება გულწრფელი, იგი ვერ შესძლებს ამ გარანტიების მიცემას; და თუ მისცემს, შეიძლება ვიქნეთ დარწმუნებული მათ განხორციელებაში? 2. გენუის მომავალი კონფერენცია იქნება ევროპის 1 ლი კონფერენცია ბრესტ-ლიტოვსკის შემდეგ. რომელშიდაც მონაწილეობს რუსეთი და სადაც რუსეთს შესაძლებლობა ექნება თავის დელეგატების საშუალებით წამოაყენოს ევროპის წინაშე თავის ეროვნული მოთხოვნილებანი და დაიცვას თავის ინტერესები.

„ტანი“ ამბობს, რომ საფრანგეთის საზოგადოებას სწამს, საფრანგეთის და რუსეთის ინტერესების შეთანხმების შესაძლებლობა და ამიტომ გაზეთი გამოსთქვამს დებულებას, რომ საფრანგეთმა და რუსეთმა რაც შეიძლება მეტი სიმართლით და კეთილ განწყობილებით მისცენ თავიანთი ძალები ორთავე ხალხის საკეთილდღეოთ თანამშრომლობისათვის პირობების გამოსამუშავებლად.

„მატენი“ ც აგრეთვე ეხება გენუის კონფერენციას და უკეთებს რა კომენტარიებს წინასწარ ეკონომიურ თათბირს, წერს: რასაკვირველია, ექსპერტთა თათბირმა უნდა გადასწყვიტოს მთელი რიგი უმნიშვნელოვანეს საკითხებისა. მაგრამ ყველა საკითხებს, რამდენადაც წყდება რუსეთთან თანამშრომლობის საკითხი, საფუძვლად უდევს ევროპის იმ კაპიტალების ხელშეუხებლობის გარანტია რომელიც დაბანდებული იქნება რუსეთის წარმოებაში. ევროპის კაპიტალისტები და მწარმოებლები დარწმუნებული უნდა იყვნენ მათ უშიშროებაში, და ამისათვის კი რუსეთის მთავრობამ უნდა იცნოს არა მარტო თავის ვალები და ვალდებულებანი, არამედ აგრეთვე კერძო პირთა საჩივარი სახელმწიფოზე იმ ზარალისა, კონფისკაციისა, სეკვესტრებისა და კერძო პირთა და საზოგადოების ქონების რეკვიზიციის შესახებ, რომლებიც მოხდა რუსეთში

იტალია და გენუა.

რომი. 16 თებერვალი. (იტალიის დეპეშათა სააგენტოს რადიო). 16 თებერვალს დილით ბონომის თავმჯდომარეობით შესდგა იტალიის მინისტრთა საბჭოს სხდომა. საგარეო საქმეთა მინისტრი დელა-ტორეტა შეეხო რა გენუას კონფერენციის საკითხს, განაცხადა: კონფერენციის გადადება შესაძლებელია მოკლე დროით. კონფერენციის მოსაწვევი ყველა წინასწარი მუშაობა სიჩქარით სწარმოებს.

რომი. 16 თებერვალი. (იტალიის დეპეშათა სააგ. რადიო). ხვალ შესდგება საუწყებათაშორისო სხდომა მთელ რიგ ფინანსიურ და ეკონომიურ საკითხების განსახილველად, რომლებიც სდგანან გენუას კონფერენციის პროგრამაში.

ინგლისი და გენუა

რომი. 16 თებერვალი. (რადიო). გავასის სააგენტო იტყობინება: თუმცა ლოიდ ჯორჯი პროტესტს აცხადებს გენუას კონფერენციის გადადების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა ბრიტანიის მთავრობის უმეტეს ნაწილს კონფერენციის 2 კვირით გადადება სასურველად მიაჩნია, კონფერენციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხების წინასწარ გადასაწყვეტათ.

ბორდო. 16 თებერვალი. (რადიო). „პტი-პარიზიენი“ იუწყება, რომ ბრიტანიის ოფიციალური წრეები სთანხმდებიან იმ საბუთების საფუძვლიანობაზე, რომლებიც წამოაყენა პუანკარემ, მცირე ანტანტის წარმომადგენელთა გენუას კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ.

არავითარი გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ ჯერ არ მიუღიათ. გავასის სააგენტო უარყოფს საფრანგეთის გაზეთის ამ ცნობას და აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა არ ეთანხმება პუანკარეს თვალსაზრისს მცირე ანტანტის შესახებ და ემზადება მოიწვიოს ლონდონში ხუთ სასახელმწიფოს ექსპერტთა თათბირი. ამ თათბირზე მოწვეული იქნებიან უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლები. თვით თათბირი მოწვეულ იქნება მახლობელ დღეებში, ამასთანავე მათ მიეცემა წინადადება ძლიერ მოკლე დროში დაამთავრონ თავიანთი მუშაობა.

ვარშავა, 16 თებ. გაზეთ „რაბოტნიკი“ გადმოგვცემს ლოიდ ჯორჯის შემდეგ სიტყვებს, რომელიც წარმოსთქვა მან მთავრობის პარტიის დიდ კრებაზე 6,000 მსმენელთა დასწრებით:—ჩვენ, სთქვა ლოიდ ჯორჯმა, ვაჭარი ხალხი ვართ. ამ სიტყვებით სურათდება მთელი სიტუაცია. ვაჭრობა უნდა გაიფურჩქნოს. ბირჟის კურსის მერყეობის გამო, რომელიც მოწმობს ნახევარ მსოფლიოს გაკოტრებას, ჩვენ არ შეგვიძლია გაუძლოთ გერმანიის კონკურენციას. რუსეთის გიგანტიური ბაზარი ჩვენთვის აღარ არსებობს. ამის ასე გაგრძელება შეუძლებელია. საჭიროა მოლაპარაკების წარმოება. აუცილებლათ საჭიროა შეთანხმების გზების გამოძებნა.

ლონდონი, 17 თებ. „ტაიმსი“ სკეპტიკურად უცქერის გენუას კონფერენციას: „ამერიკის კრიტიკულად მოპყრობის დროს, საფრანგეთის იძულებითი დათანხმებისა, ეჭვიანობისა და შიშის დროს, რომელსაც იჩენენ ევროპის ის სახელმწიფონი, რომელთაც მიიღეს კონფერენციაზე მოწვევის ცნობა, საკვირველი იქნებოდა თუ გენუას კონფერენცია ცოტათი მაინც გაამართლებდა იმ იმედებს, რომლებსაც მაზე ამყარებენ მისი ინიციატორები. გაზეთი აღნიშნავს რა შემდეგ. რომ არც ერთ სახელმწიფოს გარდა რუსეთისა და გერმანიისა არ აქვთ გარკვეული გეგმები კონფერენციის შესახებ, და ბოლოს წერს: „რამდენადაც ახლოვდება კონფერენოიის დღე, იმდენად უფრო გაუმჭვირვალე ხდება ის ბნელი, რომელიც გარს ახვევია გენუას.

ამერიკა და გენუა.

პარიზი. 16 თებერვალი. (რადიო). „ტანისა“ და „ფიგაროს“ ცნობით, ამერიკის პრეზიდენტმა გარდინგმა გააცნო თავისი აზრი პუანკარესა და ლოიდ ჯორჯის გენუის კონფერენციის გადადების შესახებ. გარდინგის აზრით, არა არის არავითარი საფუძველი კონფერენციის გადადებისათვის.

განოვერი. 16 თებერვალი. (რადიო) ლონდონიდან მოსულ ცნობით, ამერიკის მთავრობას სრულიად შეუძლებლად მიაჩნია თავის წარმომადგენლის გენუის კონფერენციაზე გაგზავნა, თუ იგი შესდგება დანიშნულ დროზე ე. ი. 8 მარტს.

კონფერენციის გადადებისათვის.

ლონდონი. 16 თებერვალი. რადიო). გავასის სააგენტოს ცნობით, ინგლისისა და იტალიის მთავრობებს შესაძლებლად მიაჩნიათ კონფერენციის გადადება მხოლოდ 15 დღით. საბოლოვო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღიათ.

გენუას კონფერენცია და საბჭოთა ფედერაცია

(მიტინგები და კრებები თბილისში)

პარასკევს, **10** თებერვალს ცენტრალურ მუშათა კლუბში და „ტივოლში“ მოეწყო მიტინგები და მოხსენებები თემაზე: „გენუას კონფერენცია და საბჭოთა ფედერაცია“. ცენტრალურ მუშათა კლუბში, სადაც დაესწრო 600 კაცამდი მუშები, მოსამსახურეები და წითელ არმიელები. მოხსენება გააკეთა ამხ. ორახელაშვილმა; კლუბში „ტივოლში“ 200 კაცის თანადასწრებით მოხსენება გააკეთა ამხ. გევორქიანმა.

მოხსენების შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა შემდეგი ხასიათის რეზოლიუციები:

„მოისმინა რა მოხსენება გენუას კონფერენციისა და საბჭოთა ფედერაციის შესახებ მუშების და მოსამსახურეების საერთო კრებამ დაადგინა:

1) საბჭოთა ფედერაციის წარმომადგენლების მიწვევა გენუას კონფერენციაზე მაჩვენებელია მსოფლიოს ბურჟუაზიულ რესპუბლიკების დამოკიდებულების გარდატეხისა საბჭოთა ფედერაციისადმი; რაც გვაჩვენებს საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის გამტკიცებას.

2) თითონ ფაქტი საბჭოთა რესპუბლიკებისა თავის მოთხოვნილებების დაცვისა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოგდებულ მთავრობების მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ, მაჩვენებელია ჩვენი პოზიციების სიმტკიცისა; მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელებისა პროვოკაციულ მუშაობას არ შეუძლია მოხაროს ჩვენი პოლიტიკის ხაზი, რომელიც მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლების მტკიცე გატარებისაკენ. ძალაუფლების პატრონს—პროლეტარიატის რკინის ხელი, ემყარება რა მესამე კომინტერნის პროლეტარულ არმიას—სახელოვან წითელი არმიის ძლიერებას, სათანადოდ გაუსწორდება თავზე ხელაღებულ პროვოკატორებს. გაუმარჯოს მებრძოლ პროლეტარიატის სოლიდარობას! ძირს პროვოკატორები!“

14 თებერვალს არსენალში შესდგა არსენალის და საინჟინრო საწყობის მუშებისა და მოსამსახურეების კრება; მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ გააკეთა ამხ. კახიანმა და (ორმა თავი შეიკავა; კრებას დაესწრო 600 კაცამდი) მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია:

„არსენალის, საინჟინრო და საარტილერიო საწყობების მუშა-მოსამსახურეებმა მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება გენუას კონფერენციის შესახებ, უთვლის თავის პროლეტარულ სალამს საბჭოთა რესპუბლიკების დელეგაციას, რომელიც მიემგზავრება გენუას კონფერენციაზე, და რომლებიც როგორც დიდ რევოლიუციონურ პროლეტარიატის წარმომადგენლები იბრძვიან უკეთეს მომავლისა და კომუნიზმისათვის. მუშები დარწმუნებულია, რომ საბჭოთა დელეგაცია ღირსეულად და შედგრად დაიცავს მუშურ სახელმწიფოს ინტერესებს და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ გამოიყვანონ მშრომელი მასები მშვიდობიან საბჭოთა აღშენებლობის გზაზე. არსენალის საინჟინრო და არტილერიის საწყობების მუშები სამარცხვინო დაღს ასვამენ მენშევიკებსა და მემარჯვენე ფედერალისტებს, რომლებმაც თავის გაბოროტებაში მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისადმი მიმართეს უკანასკნელ საშუალებას—მოწაფეების და სტუდენტების—ამ ბურჟუაზიის და ჩინოვნიკების შვილების დემონსტრაციებს. არსენალის, საინჟინრო და არტილერიის საწყობების მუშები მოუწოდებენ საქართველოს მთელ პროლეტარიატს რომ მუშათა კლასის გამყიდველების პროვოკაციის საპასუხოდ შრომის ნაყოფიერების გაძლიერებით და სამეურნეო ფრონტზე კიდევ ერთი შეტევით დაუმტკიცოთ ყველა ლორდებს გრაფებს, ბანკირებს და ყველა მათ სოციალისტურ ლაქიებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება სდგას პროლეტარიატის დიქტატურიის მტკიცე საფუძვლებზე, რომლის შერყევასაც ვერავინ ვერ შესძლებს და მით უმეტეს მოწაფეების და სტუდენტების სასაცილო გამოსვლები. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას! გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

17 თებერვალს, დილით, ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობაში შესდგა მუშების საერთო კრება. დაესწრო 200 კაცამდი. ისინი ორი დღე მუშაობდენ, ცეცხლის ჩასაქრობათ, დაიღალენ, მაგრამ ყურადღებით და დაინტერესებით ისმენენ თუ როგორია მდგომარეობა ევროპაში. ამხ. მ. ალავერდოვას მოხსენების შემდეგ თემაზე ,,გენუას კონფერენცია და საბჭოთა ფედერაციას“, კრებამ ერთხმად დაადგინა მიმართოს ამხ. ბ. მდივანს შემდეგი თხოვნით:

,,ჩვენ, ცეცხლის მქრობელი რაზმის მუშები და მოსამსახურეები ვსთხოვთ კონფერენციაზე საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელს ამხ. ბ. მდივანს, რომ მტკიცეთ დაიცვას საქართველოს ყველა რევოლიუციონური მონაპოვარი, მისი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, მისი მშრომელთა ხელისუფლება და აგრეთვე დაიცვას კაპიტალიზმისაგან დაჩაგრული კოლონიალურ ხალხთა ინტერესები.

იმის გამო, რომ გენუას კონფერენციაზე მთლიანი კაპიტალისტური ფრონტი აქსელროდიდან მილიუკოვ-პუანკარემდე შეეცდება დასჩაგროს საბჭოთა ქვეყნები, საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელმა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად მტკიცე კავშირით უნდა დაიცვას მშრომელთა ხელისუფლება.

ამხ. ბ. მდივანი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მას ზურგს უმაგრებს საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომელიც საქმით დაამტკიცებს თავის თავდადებებს სოციალისტური სამშობლოსათვის.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

ლიტერატურული ფრონტი

როცა ისტორიულ სცენაზე გამოვიდა პროლეტარიატი, როცა მან გაიმარჯვა რუსეთში ბურჟუაზიასთან ბრძოლაში და მოიპოვა პოლიტიკური ბატონობა, ცხადი იყო, რომ ის კულტურულ გამარჯვებასაც მოისურვებდა.

პროლეტარიატი წარსულის გაკვეთილებით სწავლობს. წარსულში ის კულტურულათ სუსტი იყო. კულტურული მოძრაობა პროლეტარიატისა ჩამორჩა პოლიტიკურს დ ეკონომიურს და ეს გარემოება საბედისწერო როლს თამაშობდა რევოლიუციის მსვლელობაში. ეს კარგათ შეიგნო რუსეთის პროლეტარიატმა, განსაკუთრებით, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც თავის უკანასკნელ გამარჯვებისათვის დაისახა გზა კულტურული დამოუკიდებლობის რუსეთის პროლეტკულტებში ამ ჟამათ თავს იყრიან დიდძალი მუშები. წარსულ წელს იცემოდა პროლეტკულტების 15 ჟურნალი. გამოიცა 20 მილიონ ცალამდის სხვადასხვა გამოცემები.

მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის დროს დაარსდა საერთაშორისო ბიურო, რომელშიაც შედიან წევრებათ ლუნაჩარსკი (თავმჯდომარე), ლეინ (ინგლისი) ლეფევრი (საფრანგეთი) გარტელი (გერმანია) და სხვა.

რაც გაკეთდა ამ მხრივ ოთხი წლის განმავლობაში საბჭოთა რუსეთში ამ პატარა წერილში ძნელია ჩამოთვლა, მხოლოდ საჭიროა მკითხველის ყურადღება მიექცეს ხელოვნებას ერთ დარგს—მხატვრულ მწერლობის და ითქვას შემდეგი: არა თუ ვაკეთებთ ჩვენ რაიმეს ამ მხრივ, არამედ ფიქრადაც არ მოგვდის ეს. ვიმეორებ, რომ საბჭოთა რუსეთში ბევრი გაკეთდა და ბევრიც კეთდება საერთოთ პროლეტარული კულტურის სფეროში, თუმცა სამი ან ოთხი წელი პროლეტარული შემოქმედებისათვის რასაკვირველია ცოტა დროა არის შედარებით საუკუნოებთან, რომლის განმავლობაში იქმნებოდა ბურჟუაზიული ხელოვნება.

ამ მხრივ სწორეთ მართალი იყო პროლეტარული პოეტის კირილოვის განცხადება პროლეტარულ მწერალთა ერთ სალამოზე: **„საკვირველია, რატომ ითხოვენ ჩვენი კრიტიკოსები პროლეტარულ მწერლებისაგან გენიოსურ ნაწარმოებებს,** როცა ბურჟუაზიული მწერლობა და ხელოვნება საუკუნოებით ვითარდებოდა და ჩვენ კი მხოლოდ ეხლა ვიწყებთ პროლეტარული ხელოვნების შექმნასო“.

სხვა მრავალ ფაქტებს, რომ თავი დავანებოთ იმის საჩვენებლათ თუ როგორ იზრდება რუსეთში პროლეტარული მწერლობა, საკმაოა გავიხსენიოთ დეკლარაცია „ლიტერატურული ფრონტის“ მწერალთა კავშირისა, რომლის წევრთა შორის არიან ცნობილი სახელები: ლუნაჩარსკი, ბუხარინი, ფრიჩე, მეშჩერიაკოვი, პოკროვსკი, კირილოვი, გერასიმოვი და სხ.

მოვიყვანთ ამ დეკლარაციიდან რამდენიმე ადგილს:

„პროლეტარული რევოლიუციისათვის დამახასიათებელი ხდება ის, რომ ინტელიგენცია, განსაკუთრებით მისი სულიერი ბელადები—მწერლები მეშჩანურ მასებისა მაჩანჩალათ ხდებიან. ასეთ ბელადებს ჩვენ კრიტიკულათ უნდა მოვექცეთ. ეს ის ხალხია, რომელიც საბჭოთა რუსეთის შავ დღეებში განზე იდგა და დღეს კი იცვლის ფერს და ცდილობს კომუნისტური ენით გველაპარაკოს. ასე იზრდება ჩვენს თვალწინ ახალი საშიშროება — საშიშროება სულიერ მეშჩანობის გაბატონებისა მხატვრულ ლიტერატურაში. სასტიკი ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან უნდა გადავიდეს იმათ ხელში, რომლებიც მტკიცეთ დგანან რევოლიუციონური მარქსიზმის ნიადაგზე.

„გაღრმავება და გაფართოვება რევოლიუციონურ მარქსიზმის გავლენისა ხელოვნებაში. აი საფუძველი „ლიტერატურული ფრონტის“ მომავალი მუშაობისა. დასასრულ კავშირი მოუწოდებს მწერალ-კომუნისტებს და თანამგრძნობთ კავშირში ჩაეწერონ.

აი კიდევ რამოდენიმე ამონაწერი მეორე დეკლარაციიდან, რომელიც ეკუთვნის მოსკოვის პროლეტარულ მწერალთ.

„პროლეტარული პოეზია არის კლასიურ იდეოლოგიური მოვლენა. ის გაჩნდა მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლის პროცესში. მისი არსებობა დ გაძლიერება გამართლებულია ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, რომელსაც მიყავს კაცობრიობა უმაღლეს სოციალურ ფორმამდის — კომუნიზმამდის. დღევანდელ რუსულ ლიტერატურას თავის დეკადენტური მიმართულებით, სიმბოლიზმით, ფუტურიზმით და სხვა, ჩვენ ვთვლით როგორც მაჩვენებელს ბურჟუაზიული საზოგადოების გახრწნისას. პროლეტარული პოეზია, როგორც კლასიურ იდეოლოგიური მოვლენა შეუძლებელია მოთავსდეს რომელიმე მხატვრულ მიმართულების ჩარჩოებში.

ჩვენი ლოზუნგია შესწავლა და შეთვისება დღევანდელ არსებულ ყველა მხატვრულ სკოლებისა ახალი ხელოვნების შესაქმნელად, რომელიც კომუნისტურ საზოგადოების იდეალების შესაფერი იქნება“.

ამ დეკლარაციებიდან ყველასათვის თვალდასანახია, თუ რა გზით მიმდინარეობს და ვითარდება რუსეთის ხელოვნება, კერძოთ მწერლობა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

ეხლა თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ჩვენს ქართველ ხელოვნებას და მწერლობას უნდა ვთქვათ, რომ დღეს ქართული ხელოვნება ისევ ძველ ჩარჩოებშია, ძველი ტრადიციებით სულდგმულობს, ქართულ ხელოვნებაში არავითარი ცვლილება არ შეუტანია არც თებერვლის და არც ოქტომბრის რევოლიუციას, არც მენშევიკურ „დემოკრატიზმს“ და ჯერ არც საბჭოთა წესწყობილებას. ოქტომბერს ქართულ ხელოვნებაში აწი მოველით.

ვინც გადაათვალიერებთ იმ გამოცემებს კერძო თუ სახელმწიფო გამომცემლობისა, რომლებიც გამოიცა საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დაარსების შემდეგ, ის უსათუოდ დაეთანხმება ზემოყვანილ ჩემს აზრს ქართულ ხელოვნებისა თუ მწერლობის შესახებ. ამ ჩემი აზრის საილუსტრაციოთ მე მოვიყვან „ფიგარო“-დან ცნობილ „ყანწელის“ ნ. მიწიშვილის წერილის რამდენიმე ადგილებს:

„წარსული წელი დასრულდა გონებრივი და ფსიქოლოგიური დიდი რეაქციით (?)

„დიდმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა (ნაგულისხმევია ალბათ საბჭოთა წესწყობილების დამყარება საქართველოში) მოუღუნა ხერხემალი ქართულ პოეზიას.

„დამნაშავეა თუ არა ქართული ლიტერატურა, რომ ის მოვიდა ასეთ **ხიმახინჯემდის**.

დღეს ქართულ ლიტერატურას არ ყავს პატრონი, არ აქვს შემოქმედებითი ნება და მაგარი საფუძველი.

მან დაკარგა თავისი აზრი, ნიადაგი და იდეა.

ასეთია მიწიშვილის პესიმიზმი ქართულ მწერლობაზე; ხსნას ის მხოლოდ „ცისფერ ყანწელებში“ ხედავს, რომელსაც, ავტორის აზრით, ამართლებს თურმე **„ქართული პოეზიის ტვინი გრიგოლ რობაქიძე“**.

ჩვენ ერთ რამეში ვეთანხმებით ნ. მიწიშვილს.

ქართული მწერლობა მართლა უპატრონოთ არის, მაგრამ არა მგონია რომ „ცისფერ ყანწელები“ გამოდგენ მის პატრონათ. ჩემის აზრით ასეთი ღვაწლი არ მიუძღვით მათ ქართველი მწერლობის წინაშე. ძალიან რომ არ გავაგრძელოთ სიტყვა ამ ჩემი აზრის დასამტკიცებლათ, საკმაოა მოვიყვანოთ რამოდენიმე მარგალიტები „ყანწელების“ ერთ მამამთავართაგანის ვ. გაფრინდაშვილის „პოეტის კარიერიდან“.

„სამარცხვინოა [illegible]
კარიერა [illegible]
ქიხა.
სალამი შენ ტროტუარის პოეტ
უთუოდ ქონდა ზუასილი—
ფაუსტის ავტორს..
კარიერა მარტოობის დ ლოთობ
და სხვ.

აი როგორი უნდა იყოს „ყანწებ
აზრით პოეზია და მაშასადამე ხე
ვნებაც განა ამ გზით უნდა ავი
ქართული ხელოვნება და ქართუ
მწერლობა? ნურას უკაცრავათ,
ასეთი პოეზია ჩვენ არ ვიწამოთ.
მიუხედავათ ყოველივე ამისა „ყ
წელებს“ მაინც აქვთ რამოდენიმე და
ბითი მხარეები. რაც შეეხება ჩვე
ქართული მწერლობის სხვა მიმარ
ლება და ჯგუფებს, უეჭველია, რ
ისინი დიდ განძეულობას არ წარმ
ადგენენ, „ხომალდის“ ჯგუფის გამ
კლებით, რომელიც ბუნებრივად უ
და შეუერთდეს იმ მწერლობას, რ
მელიც ეხლახან იშვა მშრომელთა მ
სის წიაღში და რომელმაც დაიარ
თავისი ორგანიზაცია „საქართველო
პროლეტარულ მწერალთა ასოცი
ციაა“.
ასეთ მდგომარეობაშია დღეს ქა
თული მწერლობა. ამის შემდეგ გ
სრული უფლება არა გვაქვს კით
გადაჭრით დავაყენოთ ახალი მწ
ლობის ახალი ფრონტის შედგენ
შესახებ“.
ასეთი ფრონტი არა თუ მარ
მწერლობაშია საჭირო, ის საჭირ
ხელოვნების სხვა დარგებშიც.
ასეთ ფრონტს საძირკველი უ
ჩაეყარა პროლეტარული მწერალ
ასოციაციის დაარსებით.
საჭიროა მხოლოდ ამ საძირკვე
შესაფერი შენობის აგება.
და ეს მოხდება მხოლოდ იმ შ
თხვევაში თუ პროლეტარულ მწერა
თა ასოციაციის გარშემო შემოკრ
ბიან ჩვენი სასიცოცხლო დაინტერ
სებული ძალები, თუ ამ ორგანიზ
ციას ყურადღებით მოეპყრობა ჩვე
პარტია და მთავრობა, აგრეთვე მ
შათა ორგანიზაციები. ჩვენ სრულ
დაც არ გვაშინებს, რომ ჩვენ დღ
ძლიერ კავშირს არ წარმოვადგენ
სამაგიეროთ ჩვენ ყოველ წუთობ
ვიზრდებით და ვძლიერდებით.
ამხ. ლუნაჩარსკის აზრით: „მოჩ
ნებითი სიმდიდრე მოსტეტე ინტ
ლიგენციისა არის მხოლოდ მწვა
და ყვითელი ხავსი, დამყაყებუ
ტბის ზედაპირზე გაშლილი,
შინ, როდესაც პროლეტარული პო
ზიის სილარიბე გავს გაზაფხულ
ნიადაგის სიტიტვლეს“ ასეთი იმედ
მოუწოდებთ ამხანაგებს ახალი ლ
ტერატურულ ფრონტისკენ.

სანდრო ეული.

ქრონიკა

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კომიაჩეიკის წევრთა საყურადღებოდ.** ხვალ 18 თებერ. დილის 10 საათზე, მე-4 რაიკომის შენობაში (ლენინის ქუჩა) მოხდება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კომიაჩეიკის წევრების და კანდიდატების აღწერა. დასწრება სავალდებულოა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არ მიეცემათ პარტბილეთები. კომიაჩეიკის ბიურო.

◆ **შრომის დაცვის კურსები.** 23 ამა თებერვალს მუშათა სასახლის შენობაში იხსნება ადგილობრივ წარმოების და დაწესებულებების შრომის დაცვის კომისიების წევრთათვის ერთ-თვიანი კურსები, სადაც წაიკითხება ლექციები ქართულ, რუსულ

და სომხურ ენაზე, სოციალურ და
ღვევის, პროფესიონალურ გიგიენ
და ტეხნიკურ უშიშობის საგნებშ
ლექციები წაიკითხება სამშაბათობი
ხუთშაბათობით და შაბათობით ს
ღამოს 6—9 დე.
ყველა ადგილობრივი შრომის და
ვის კომისიებს ევალებათ წარადგ
ნონ ს. პ. კ. ს. შრომის დაცვის გა
ყოფილებაში (მუშათა სასახლე, ოთ
ხი № 22), არა უგვიანეს 20 თებერ
ვლისა სახელობითი სიები კომისი
ბის წევრებისა. უკანასკნელნი ვა
დებულნი არიან გამოცხადდნენ კუ
სებზედ 23 ამა თებერვალს საღამ
6 საათზე მუშათა სასახლის პატა
დარბაზში (რუსთაველის ქუჩა № 17

საქართველოს ეკონომიური ცხოვრებ

თბილისის ვალიუტის და საქონლის ბირჟა.

თბილისის საქონელ-ვალიუტის ბირჟის მიზანია საფონდო ოპერაციების და საქონლის ვაჭრობის მოწესრიგება, ვაჭრობის ყველა დარგებში ერთმანეთში მორიგების და ურთიერთობის შემსუბუქება და ამისათვის საჭირო ცნობების და ჩვენებების შეკრება.

ბირჟას ესწრებიან მუდმივად ფინანსთა კომისარიატის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლები და სტუმრები.

ის პირები, რომლებიც მიიღებიან მუდმივ დამსწრეებათ და რომლებიც მიდიან ბირჟაზე სავაჭრო საქმეებისათვის, ყოველ წლიურად ირჩევენ ბილეთს ბირჟაზე დასასწრებლად; ამასთან ბილეთისათვის გადასახადის რაოდენობას აწესებს ბირჟის კომიტეტი და ამტკიცებს ფინანსთა კომისარი. მუდმივ დამსწრეებად შეუძლიათ იყონ იმ პირებს, რომლებიც ამოირჩევენ სამრეწველო მოწმობებს საბჭოთა საქართველოში.

ბირჟის კომიტეტს უფლება აქვს დააწესოს ბირჟაზე შესასვლელი ერთდროული გადასახადი სტუმრებისათვის, რომლებიც ესწრებიან მას დროებით ან შემთხვევით. ბირჟის მუდმივ დამსწრეების ნოქრები, „კონტორშჩიკები“ გადასახადს არ იხდიან. ამ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიი-

ღონ ბირჟის ოპერაციებში განსაკუ
რებით თავის პატრონების ხარჯ
და მათი რწმუნების საბუთით. პას
ხისმგებლები ყოველ მორიგებისა, რო
ლებსაც აწყობენ ისინი, არიან მათ
პატრონები.
ბირჟის საბჭოს მორიგე წევრ
ნებართვით სტუმრებს შეუძლია
ბირჟის კრებებზე დასწრება, მაგრ
არ სარგებლობენ ბირჟაზე მორიგებ
უფლებით მის საფონდო განყოფილ
ბაში.
სამეურნეო კომისარიატების, ფ
ნანსთა კომისარიატების და საგარე
ვაჭრობის ხარჯზე ვალიუტის ყიდვ
გაყიდვის მოსაწყობად აგზავნიან ის
ნი ბირჟაზე თავის წარმომადგენლებ
ბირჟაზე უახლოესი გამგებლობა ევ
ლება ბირჟის კომიტეტს. თავმჯდომა
რე და თავმჯდომარის ამხანაგს ნი
ნავს მთავრობა, თითო წევრს აგზა
ნის: ფინანსთა კომისარიატი, სახა
ხო უმაღლესი სამეურნეო საბჭო, ს
სურსათო კომისარიატი, მიწადმოქმ
დების კომისარიატი, გაერთიანებულ
საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, ქ
ლაქის აღმასრულებელი კომიტეტ
რკინის გზების სამმართველო, სა
წევრი სავაჭრო სამრეწველო კლას
დან, თითო: სახალხო ბანკიდან, წარ
მო-კავშირიდან, ცეკავშირიდან, კო
პერატიული ბანკიდან, ცენტროკა

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

გორის მაზრა:

გორის მაზრაში საბჭოთა არჩევნები სრულიად დამთავრდა. 12 თებერვალს გაიხსნა სამაზრო პირველი ყრილობა, მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელების საბჭოთა დეპუტატებისა. 26 თემის და თვით ქალაქ გორის საბჭოთა დელეგატების შორის უმრავლესობა გლეხებია. ამათგან გაცილებითი დიდი ნაწილი კომუნისტებია, ხოლო მცირე ნაწილი კი უპარტიო. მათში არც ერთი მენშევიკი და ფედერალისტი არ ურევია.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ამხანაგები: ჯუღაშვილი-სტალინი და ფილიპე მახარაძე, რასაც მოყვა მხურვალე ტაში და ინტერნაციონალის სიმღერა.

ყრილობა ესალმება: საქართველოს რევკომს, საქართველოს კომპარტიის ცეკას, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ც. კომიტეტის და ოკას რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს.

ყრილობას ხალისიანობა და თან საქმიანობა ეტყობა.

ყრილობამ მოწოდებით მიმართა გორის მაზრისა და მთელ საქართველოს გლეხობას შეაგროვონ და ჩააბარონ ვისაც ჯერ არს სასურსათო გადასახადი მუშა-გლეხთა რესპუბლიკის გასაძლიერებლად.

ყრილობა საყოველთაოდ აცხადებს საქართველოს მშრომელი ხალხის მოკეთეთა და მტერთა გასაგონად, რომ საქართველოს მუშებსა და გლეხებს არცა სურთ და არც არასოდეს ესურვებათ სხვა ხელისუფლება გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა.

გორის მაზრის გლეხობის საბჭოთა ყრილობა იგონებს რა საზიზღარ მენშევიკურ მთავრობის სიმხეცეს გორის მაზრის: ახალ-ქალაქისა, ხაშურისა, გომისა, ცხინვალისა, მეჯვრის-ხევისა და სხვა რაიონების გლეხების მიმართ, რომელნიც არა ერთხელ აღსდგნენ მათ წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, სასტიკ პროტესტს უცხადებს ხალხის გამყიდავ მენშევიკებს, რომელნიც საზიზღარ ცილისწამებას ავრცელებენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება—ჩვენი ხელისუფლებაა, თამამად და ამაყად აცხადებს გორის მაზრის მშრომელი ხალხი თავის საბჭოთა ყრილობის პირით.

არჩეულ იქნა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც 15 კაცი შევიდა. ამ 15 კაცში 13 კომუნისტია და 2 უპარტიო.

გორის მაზრის საბჭოთა ყრილობის თავმჯდომარე **შ. მათიკაშვილი.**

ბორჩალოს მაზრა:

ბორჩალოს სამაზრო საარჩევნო კომისია დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ მაზრაში არჩევნები გრძელდება. საბჭოებში ყოველგან გადიან კომუნისტები. პირველ სამაზრო საბჭოთა მოწვევის დღეთ დანიშნულია 19 თებერვალი, ყრილობის მოწვევის ნიშნად დაწყებულია სათანადო საზეიმო სამზადისი.

დუშეთის მაზრა.

დუშეთის სამაზრო საარჩევნო კომისია დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ მუხრანის თემში არჩევნები დამთავრდა. ხმის უფლების მქონეთა რაოდენობას შეადგენდა 4836 ამომრჩეველი ორივე სქესისა. აქედან საარჩევნო კრებას დაესწრო 2700 ამომრჩეველი. სათემო საბჭოში არჩეულია 57 დეპუტატი, რომელთა შორის 32 კომუნისტია, 6 თანამგრძნობი და 19 უპარტიო.

სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრის სოფ. სამიქაოდან არჩევნების შესახებ შემდეგი ცნობა მოგვივიდა:

ჩავატარეთ რა სამიქაოს თემის არჩევნები, საარჩევნო კრებამ, რომელიც დიდის სიამოვნებითა და აღტაცებით შეხვდა კომუნისტურ პარტიის სიას, ერთხმად მიიღო მისი კანდიდატები და გაიყვანა თემის საბჭოში, გამოსთქვა თავის შეხედულება და დაადგინა, რომ ეს არჩევნები, საქართველოში აქამდის არ მოვლინებული, არის ნამდვილი პროლეტარული და გლეხური არჩევნები, რომელიც არსებითად განირჩევა ბურჟუაზიულ მენშევიკურ პარლამენტის არჩევნებისაგან. ამისათვის რადგანაც მხოლოდ ამგვარი არჩევნებია გამომხატველი პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურისა, ვისურვებთ, რომ ამგვარი არჩევნები განმტკიცებულ იყოს მთელს მსოფლიოში.

ეს ჩვენი სურვილი გთხოვთ აუწყოთ საქართველოს რევკომსა და საქართველოს მომავალ საბჭოთა პირველ ყრილობას.

სამიქაოს რევკომის თავმჯდომარე **მანჯგალაძე.** საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **ჯიქია.**

რაჭის მაზრა.

რაჭის სამაზრო საარჩევნო კომისია დეპეშით ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შემდეგს:

საბჭოთა არჩევნები მაზრის ყველა თემსაბჭოებში უკვე დასრულდა არჩეულია მთელი მაზრის სათემო საბჭოებში სულ 742 დეპუტატი. ამათ შორის 378 კომუნისტია, 51 თანამგრძნობი, 298 უპარტიო და 5 სხვა და სხვა პარტ. წევრნი. სათემო აღმასრულებელ კომიტეტებში მთელს მაზრაში არჩეულ იქნა საერთოდ 100 წევრი, რომელთაგან 64 კომუნისტია, 10 თანამგრძნობი, 24 უპარტიო და 2 მემარცხენე სოც. ფედერალისტი. სამაზრო ყრილობის დელეგატებად მთელს მაზრაში არჩეულ იქნა სულ 77 კაცი, რომელთა შორის 59 კომუნისტია, 5 თანამგრძნობი და 13 უპარტიო.

სამაზრო ყრილობა 14 თებერვალს დასრულდა. ყრილობაზე გამოცხადდა სულ 62 დელეგატი. ამათ შორის კომუნისტები და თანამგრძნობნი იყო სულ 54 კაცი და უპარტიო 8 კაცი. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი არჩეულ იქნა 13 წევრისაგან.

მისალმება კომპარტიის ცეკას.

გორის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების პირველი სამაზრო ყრილობა, შეკრებილი 12 თებერვალს ქალაქ გორში, გიძღვნით მხურვალე სალამს და ფიცსა სდებს თქვენ წინაშე გორის მაზრის მშრომელთა სახელით, რომ ის მტკიცეთ დაიცავს საბჭოთა ხელის უფლებას და უკანასკნელ წუთამდე არ დახრის მშრომელთა სისხლით შეღებილ დროშას რევოლიუციისა დ კომუნიზმისას.

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბჭოებს. ყრილობის თავმჯდომარე **გიორგაძე.**

შირიდან. აზერბეიჯანის კოოპერატივთა კავშირიდან, სომხეთის კოოპერატივიდან და მთლიანი სატრანსპორტო-მომხმარებელი საზოგადოებიდან. ყველა წევრები ირჩევიან ერთი წლით. ბაზრის კომიტეტს ევალება ადგილობრივ ვაჭრობა მრეწველობის განვითარება და სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებების ხელის შეწყობა. ამისათვის ბირჟაზე უნდა მოეწყოს საქონლის საწყობები, როგორც საქართველოში მოტანილ ისე საქართველოდან გასატან საქონლისა და მრეწველობის ნაწარმოებისათვის.

ბირჟის წესდების ძალით მორიგება შეუძლია მხოლოდ ბირჟის მუდმივ დამსწრეებს, რომლებიც არ ეკუთვნიან დალალებს. ბირჟაზე მორიგება ბრძანებების მიხედვით, რომლებიც მიღებულია ბაზრის კრებებზე მისი მუდმივ დამსწრეთაგან, შეუძლიათ მხოლოდ დალალებს.

ღირებულებათა შემფასებელ კომისიას ევალება ბირჟის ბიულეტენების შედგენა და მათი გამოქვეყნება ყველას საყურადღებოთ. ბიულეტენი შესდგება სამი გრაფისაგან: „გამყიდველები“, „მყიდველები“ და „შესრულებულია“ ფასების აღნიშვნით, რომლითაც გათავდა მორიგება (საქონელზე, ვალიუტაზე, ნაღდად ან ვადით, ხარისხი, რაოდენობა, ჩაბარების ვადა, ფულის გადახდის ვადა და ჩაბარების ადგილი).

წარმოებითი პროფკავშირებში

ფეიქარ მკერავების კავშირში.

კავშირის განათლების კომიტეტის მოქმედება იანვარში გამოიხატა ზომების მიღებაში ორთაჭალის კლუბის გახსნისთვის, სადაც მუშაობა უკვე მოგვარებულია. საბჭოთა პირველ ფაბრიკაში მოწყობილია სკოლა, რომელშიდაც მეცადინეობა დაიწყო პირველ თებერვლიდან. ყველა კულტუჯრედებში შედგენილია წერა კითხვის უცოდინართა სიები და მათ სავალდებულოდ გაუხადეს სკოლაში სიარული. კერძო წარმოებებში მუშებისათვის გაზეთების გამოწერა უნდა განახორციელოს თავის ხარჯით მწარმოებელმა, რომელიც ვალდებულია გამოიწეროს გაზეთის ერთი ეკზემპლიარი ყოველ სამ მუშაზე.

იანვრის განმავლობაში კავშირის 3 წევრი გაიგზავნა მუშათა ფაკულტეტზე და ერთი—პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში.

პროფტეხნიკური კურსების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხის გამოურკვევლობისათვის მეცადინეობა იანვარში არ დაწყებულა

მეტყავეები.

იანვრის განმავლობაში მეტყავეების კავშირის დამცველ განყოფილების მიერ მიღებულია ზომები ამბულატორიის გახსნისათვის ნავთლუღის რაიონში, ტყავის მრეწველობის ქარხნებში და სახელოსნოებში ბინებისა დ მათი სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემდეგ განყოფილებამ აიყვანა აღრიცხვაზე მცირე წლოვანები, რომლებიც მუშაობდენ სახელოსნოებში და ტყავის ქარხნებში; 5 ღრმად მოხუცებული მუშა გაიგზავნა უზრუნველყოფის კომისარიატში პენსიის მისაღებად; მოწესრიგებულია 8 კონფლიქტი. ყველა კონფლიქტები მწარმოებლებთან გადაჭრილია მუშების სასარგებლოდ.

წარმოების შრომის გამწესრიგებელი განყოფილების მუშაობა გამოიხატა უპირველესად ყოვლისა კომისიის შედგენაში შტატების შესამცირებლათ. კომისიამ შეამცირა შტატები ყველა ტყავის წარმოებებში. ამ ჟამად წარმოების შტატები შემდეგია:

წარმოებები.	შემცირებამდი	შემცირების შემდეგ
ტყავის განყოფილება	39	12
ქარხანა № 1. ლენინის სახელობის (ყოფილი ადელხანოვის ქარხ.)	683	400
ქარხანა № 2. (ყოფილი ქალ. კავშ.)	38	31
ქარხანა № 3. (ყოფ. ზარგარიანცის	46	31
სამხედრო წაღის სახელოსნო	138	81
საწყობი № 1 და № 4.	16	7
საწყობი № 2	5	4
საწყობი № 3	26	12

შემდეგ წარმოების შრომის გამწესრიგებელი განყოფილება აქტიურ მონაწილეობას იღებდა „წითელ არმიელის დოვლათის კვირის“ გატარებაში; ამასთან ტყავის განყოფილების წაღის სახელოსნოებში შეაკეთეს 300 წყვილზე მეტი ფეხსაცმელი. ამის გარდა მათ გამოიმუშავეს ტყავის წარმოებების ყველა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხარისხები ახალი ტარიფის მიხედვით; აგრეთვე მიაწოდეს 377 კავშირის წევრს—მუშებსა და მოსამსახურეებს შეშა.

გემო-საკვებ მრეწველობის კავშირში.

მეთამბაქოების განყოფილების კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა იანვარში უმთავრესად გამოიხატა წერა კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციაში სამ მსხვილ ფაბრიკასთან—ყოფილი ენფინჯიანცის, საფაროვის და „მირის“ არსებულ მუშათა სკოლები დაასრულა 38 კაცმა. ამასთან ორ ფაბრიკასთან კიდევ გახსნეს სკოლები და იქ ჩარიცხეს წერა-კითხვის უცოდინარი მუშები, რომლებიც ვერ მოხვდენ პირველ რიგში. აგრეთვე დაწყებულია წინასწარი მუშაობა ფაბრიკა „მირთან“ გაერთიანებული სკოლის დასაარსებლად, სადაც ჩაირიცხებიან გარდა ამ ფაბრიკის წერა-კითხვის უცოდინარი მუშებისა, სამხედრო საცხობის მუშებიც.

რაც შეეხება მკვებავ—ქიმიკოსების განყოფილების კულტურულ განმანათლებელ მუშაობას იანვრის განმავლობაში ის გამოიხატა პოლიტიკურ განათლების პროპაგანდის გატარებაში. პოლიტიკურ წრეებში მეცადინეობა სწარმოებდა ყოველ კვირაში. ამასთან ადგილობრივად წაკითხულ იქნა 8 ლექცია თემაზე: „პროფკავშირების მნიშვნელობა საბჭოთა წესწყობილებაში“, „საბჭოთა აღმშენებლობა და პროფმოძრაობა“ და სხვ.

ამის გარდა ცენტრალურ მუშათა კლუბთან არსებულ მე-11 საფეხურის სკოლაში ჩაწერილია 25 კაცი, სხვადასხვა საბავშვო ბაღებში 35 ბავშვი, სამკითხველოები გაიხსნა ფაბრიკასთან „ესვეს“, კონსერვის ქარხანასთან და სასაკლაოსთან.

მელითონეთა შორის.

1922 წლის 1 იანვრისათვის კავშირის წარმოებებში ითვლებოდა ფაბკომების 84 წევრი. ამ რიცხვიდან კომუნისტი იყო 43, უპარტიო 41.

მელითონეების მუშაობა.

იანვრის განმავლობაში კავშირის განათლების კომიტეტმა ავტოსახელოსნოები № 1 გახსნა წერა-კითხვის უცოდინართათვის 2 სკოლა 17 კაცისათვის და ვერის რაიონში 26 კაცისათვის.

სულ, სტატისტიკის მიხედვით, კავშირში ითვლება 120 წერა-კითხვის უცოდინარი წევრი. ამ ჟამად მოქმედებს, გარდა ორისა, რომლებიც ზევით იყო აღნიშნული, 4 სკოლა, სადაც ირიცხება 60 კაცამდი.

ფაბრიკა-ქარხნების მოწაფეებისათვის სკოლების გახსნა ფერხდება მატერიალურ სახსრის უქონლობის გამო. სკოლაში მეცადინეობის გეგმა, პროგრამა და წესდება სკოლისა მუშავდება განათლების კომიტეტის მიერ მთავარ პროფგანათლების განყოფილებასთან ერთად.

რაც შეეხება ახალგაზრდათა შორის მუშაობას, ბიურო, რომელიც გამოყო კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრებმა მელითონეებმა, იჩენს ენერგიულ მოქმედებას, რომელიც გამოიხატა ახალგაზრდა მუშათა ინტერესების დაცვაში შტატების შემცირების დროს და ახალგაზრდა მუშების შრომის სწორი ორგანიზაციის მზრუნველობაში. ბიურო ღებულობს მონაწილეობას ქარხნის მოწაფეებისათვის სკოლის ორგანიზაციაში და იმ პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობაში, რომელიც გათვალისწინებულია განათლების კომიტეტის მიერ. ფონდის გასაძლიერებლად ბიურო კავშირთან ერთად უახლეს დღეებში აწყობს „ახალ გაზრდა მელითონის დღეს“.

მელითონეთა სასადილოები.

მელითონეთა კავშირის შრომის გამნაწილებელ განყოფილების მიერ მიღებულია ზომები ვოლგის რაიონში კოოპერატიულ სასადილოს მოსაწყობად. ჯერ-ჯერობით კერძო სასადილოს მეპატრონესთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით ის აძლევს 300 მელითონეს სადილს ორი თავიდან, რომლიდანაც ერთი უთუოდ ხორცისაა—ფასი 5,500 მან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებისაგან

ფ. ს. კ. პირდაპირ გადასახადთა განყოფილება აცხადებს ყველა სახალხო კომისარიატების და სხვათა ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა საზოგადოებათა და კერძო დაწესებულებათა, აგრეთვე სავაჭრო სამრეწველო ანგარიშვალდებულ და არა ანგარიშვალდებულ წარმოებათა, რესპუბლიკის მოქალაქეთა და მის ფარგლებში მცხოვრებ უცხო ქვეშევრდომთა საყურადღებით, რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურმა კომიტეტმა ა. წ. 3 იანვარს გამოსცა დეკრეტი № 87 აქტების და დოკუმენტების ჯამის, აგრეთვე საღერბო გადასახადის განაკვეთთა შეცვლის და საკანცელარიო ბაჟის შესახებ.

აღნიშნული დეკრეტი გამოცემულია არსებულ საღერბო გადასახადის წესდების ზოგიერთ მუხლების და № 61 დეკრეტის მე 6 ნაწილის შესაცვლელად და შედის ძალაში დამტკიცების დღიდგან.

ყველა კითხვების განსამარტებლათ რომელიც გამოიწვევს რაიმე გაუგებრობას საღერბო გადასახადის წესდების და № 87 დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს, საჭიროა მომართონ პირადათ ანუ წერილობით ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებას.

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

ფინანსთა სახალხო კომისარიატის პირდაპირ გადასახადთა განყოფილებისაგან

ფ. ს. კ. პირდაპირ გადასახადთა განყოფილება აცხადებს საყოველთაოდ, რომ ფინანსთა სახ. კომისარიატმა სახ. კომისარიატის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით, თანახმად ს ღერბო გადასახადის წესდების 80, 102, 103, 125 და 147 მუხლებისა, ნება დართვა კოოპერატივ „ერთობას“-ს გადიხადოს აქტების ქაღალდების და დოკუმენტების საღერბო გადასახადი, რომლებსაც კოოპერატივი „ერთობა“ ჰკრავს სავაჭრო ოპერაციების წარმოების დროს, ნაღდ ფულათ და ასეთი შეიტანოს ხაზინაში.

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე **ბეზირგანიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია

გაზეთების ძველ აგენტთა
საყურადღებოდ

სახელმწიფო გამომცემლობა („გოსიზდატ“-ი) წინადადებას აძლევს საპროვინციო კონტრ-აგენტებს და იმ პირთ, რომლებიც თავის დროზე ასრულებდენ პერიოდული გამოცემების პროვინციებში გავრცელების საქმეს, მოაწყონ ჩამოტარებით გაყიდვა და ხელის მოწერის მიღება ყველა ცენტრალურ გაზეთებზე, და უჩვენონ, ამასთანავე, ყველა დაკვეთებისათვის მისამართი: „გოსიზდატ“-ში: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ, № 5. დაკვეთებისათანავე, უნდა გაეგზავნოს „გოსიზდატ“-ს ფულის საჭირო რაოდენობა, ურომლისოდ გაზეთი არავის გაეგზავნება. (6—6)

მიიღება განცხადებები

გაზეთებში „კომუნისტი“, „პრავდა გრუზიი“, „კარმირ ასტღ“ და „ნოვაია მისლ“.

ფასი 1 სტრიქონ პეტიტში 15,000 მან. თეატრების, კონცერტების, ლექციების და შრომის წინადადებების მიღება განსაკუთრებული ნიხრის მიხედვით.

განცხადებათა მიღება წარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში), ლორის-მელიქოვის ქ. № 5, ტელეფონი 6—43. განათლების კომისარიატის შენობა.

გაგზავნა

გაზეთები: „კომუნისტი“, „პრავდა გრუზია“, „კარმირ ასტღ“ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომლებიც არ გამოგზავნიან ხელის მოწერის საფასურს იანვრისა და თებერვლის თვეებისათვის 20 თებერვლამდე **უსათუოდ მოესპობათ.**

მისამართი და ხელის მოწერის ვადა უნდა აცნობონ არა ცალკე წერილით, არამედ აუცილებლად ფულის გადასატან საფოსტო ბარათზე.

1922 წლისათვის **1922 წლისათვის**

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ „პრავდა გრუზია“-ზე

1922 წლისათვის

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით ტფილისში და პროვინციაში მიწოდებით 120.000 მან.
გაუგზავნელად 100.000 მან.

ერთის ნომრის ფასი ტფილისში 5000 მან.

პარტიულ, მუშათა, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებისა, ქოხ სამკითხველოთა და წითელ არმიელთა კლუბებისათვის 1 თვით გაგზავნით 60.000 მან., გაუგზავნელად—50.000 მან.

ხელის მოწერისა და განცხადებათა მიღება სწარმოებს სახელმწიფო გამომცემლობაში („გოსიზდატ“-ში, განათლების კომისარიატი, ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდი.

ტელეფონი № 6—43.

პარტიული

— შაბათს, 18 თებერვალს დილის 10 საათზე არტისტიულ საზოგადოების შენობაში მე № 4 აუდიტორიაში დანიშნულია სახელ. პოლიტეხნიკუმის და უნივერსიტეტის კომფრაქციის სხდომა. გამოცხადება ყველასათვის სავალდებულოა.

დაიკარგა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ფაქტიური რევიზიის ლუქის ბეჭედი №-21, რომელიც დაკარგულია, გაუქმებულია კომისარიატის მიერ.

— ატესტატი მე-7 გიმნაზიიდან მოცემული გრიგოლ ფიცხელაურის სახელზედ ჩაითვალოს გაუქმებულად.

— 15 თებერვალს 1922 წ. ქ. თბილისში დეზერტირის ბაზარში პიროვნების მოწმობა, მოცემული გორის მაზრის რევკომიდან მცხოვრებ სოფ. მსხალებაში ანდრია პავლეს-ძე შიკაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი № 6

„ჩვენ გვინდა რომ მუშა-ქალმა არა მარტო კანონით, არამედ ცხოვრებაში მოიპოვოს მუშა-მამაკაცთან თანაბრათ უფლება. ამისთვის საჭიროა, რომ მუშა ქალებმა უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში, სადაც ისინი გამოცდილებას შეიძენენ და გაუსწორდებიან მამაკაცებს“,

ნ. ლენინი.

რვა მარტი მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეა

ახლოვდება მუშა-ქალთა საერთაშორისო დღე. 8 მარტი არის მთელი ქვეყნის მუშა-ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დიდებული დღესასწაული, როცა კომუნისტური ინტერნაციონალი აღლუმს უკეთებს პროლეტარიატ-ქალთა ძალებს, განზადებულს კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად. მთელი ქვეყნის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ისტორიამ გვაჩვენა, რომ ქალები მუდამ და ყველგან შეუპოვარი და დაუღალავი მებრძოლები იყვნენ უკეთესი მერმისისათვის. ისინი მამაცად და გაბედულად პირველ რიგებში იბრძოდენ თავისუფლებისათვის, არ ეშინოდათ არც ციხეების, არც გადასახლების, არც სიკვდილის. განსაკუთრებით თავს იჩენდნენ რუსეთის მუშა და გლეხი ქალები, რომელნიც მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის მსხვერპლად სწირავდნენ თავის ახალგაზრდობას და სიცოცხლეს. მამაკაცების გვერდით თავგანწირულათ იბრძოდნენ ისინი 1905 წელს ბარიკადებზე. ოთხი წლის წინად, 8 მარტს (23 თებერვალს ძველი სტილით) მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს, პეტერბურგის მუშა-ქალები, რომელნიც სიმშილით ღონემიხდილი იყვნენ, პირდაპირ შეებრძოლნენ მეფის მთავრობას, და ამრიგად გახდნენ პირველი მესვეურნი რუსეთის თებერვლის რევოლიუციისა, რადგანაც ამ დღეს იწყება თებერვალ-მარტის რევოლიუცია. ასეთი გამოსვლით ისინი მტკიცეთ შეუკავშირდნენ მთელ მუშათა კლასს, რომელთანაც ერთად მათ მოიპოვეს პირველი გამარჯვება და შემოიმტვრიეს ცარიზმის დაჟანგული ბორკილები.

ამას შემდეგ, დროებითი მთავრობის წინააღმდეგ მუშათა კლასის გამოსვლების დროს ლოზუნგით „მთელი ძალა უფლება საბჭოებს“, მუშებთან ხელიხელ ჩაკიდებული, რევოლიუციის წითელი დროშებს ქვეშ დარაზმული, გამოდიან მუშა ქალებიც დაბოლოს, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როცა საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა მოახვიეს მას თავს სამოქალაქო ომი, მუშა ქალები აქტიურ, მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში, ამაგრებდნენ ფრონტსაც და ზურგსაც.

თუ ჩვენ გადავხედავთ იმ გზას, რომლითაც გაიარეს რუსეთის მუშა-ქალებმა მათი პირველი გამოსვლის (8 მარტი 1917 წ.) შემდეგ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მათ მიერ განვლილ რევოლიუციის ეკლიანი გზაზე წარმოებულ ბრძოლას ფუჭად არ ჩაუვლია მათთვის და მთელი ქვეყნის მაშვრალ ქალთათვის. მხთალნი, გაუბედავი და მორცხვნი რევოლიუციის დასაწყისში, რუსეთის მუშა-ქალები, განვლეს რა მათ რევოლიუციის ქარიშხალი, გამაგრდნენ სულიერად და შეიგნეს თავისი ამოცანები.

მხოლოდ რუსეთის ოქტომბრის გამოცდილების შემდეგ, თვითეულ მუშა-

აღმოსავლეთის ქალს

ამომავალი მზის *, ქალო!
ჩვეული ხარ თავის მოხრას.
რაც გინდ თავი მოიდალო
ვერავინ გრძნობს შენსა ოხვრას.

შენი ქმარი ამაყათა
დაგყურებს შენ ზემოდგანა,
ჰქევხარ მას მიწის ჭიათა
უცქერ შიშით ქვემოდანა.

თვითონ ხომ ბატონი არის
ბედი მისთვის მთლად უხვია,
რაც რამ შავი საქმე არის
მონავ, სულ შენ მოგახვია.

თანაც მუდამ იყვედრება:
ჩემით გიდგა პირში სული
ცხოვრებაში თავის კვება
შენ რო იცი, სად გაქვს ფული!

მამა-კაცი ღმერთი იყო
სინათლეს მუდამ ჰპოვებდა,
გზა მისთვისა ფართე იყო
მეფეც მას აჯილდოვებდა.

თუ იგი ჩამომავლობით
იყო დიდი და მდიდარი,
მით უფრო კანონი მისთვის
იყო ძლიერ ლმობიერი.

ქალს რა ექნა, როს დაწყევლილს
დროის შვილით დაიბადა,
ჩაენერგა მხოლოთ მას გულს:
არ გასულა ულლის ვადა.

ცამ იგრგვინა, დაიქუხა
გაიელვა დაიჭექა
ცივი და თბილი ჰაერი
ერთმანეთსა დაეხეთქა.

ცას მოედო წითლად ალი
ემზადება სასწაული
გაიღიმა მონა ქალმა
იგრძნო რაღაც სიხარული.

და აქამდის იგი იბრძვის,
იბრძვის მედგრად, შეუპოვრად,
არ ეშინის სიტიტვლისა
და არც მუდმივ სიმშილისა.

ერიკო.

---

*) აღმოსავლეთისა.

ქალისათვის გერმანიისა, სადაც მან ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი, საფრანგეთის, ინგლისის და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებისა, ნათელი გახდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას ძალუძს უზრუნველყოს მუშა-ქალი სრული და ყოველმხრივი თანასწორი უფლებებით და მხოლოთ კომუნიზმის სრული გამარჯვება გაანთავისუფლებს მას საუკუნოებრივ მონობის ჯაჭვებისაგან.

თანამედროვე მომენტში, ოთხი წლის იმპერიალისტურ ომის და სამი წლის სამოქალაქო ომის შემდეგ, რომელსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის საშინელ ეკონომიურ კრიზისს სახალხო მეურნეობის დაცემის გამო, მაშვრალ ქალთა წინაშე სდგას მეორე სასწრაფოდ გადასაჭრელი ამოცანა, სახელდობრ, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის აღდგენა. მუშა-ქალები, ეს პროლეტარიატის სარეზერვო არმია, რომელიც რიცხობრივად სჭარბობს მამაკაცებს, დაახლოებით 73 მილ. ქალი ითვლება რუსეთში, იმ დროს როცა მამაკაცები მხოლოდ 68 მილიონია. ის უნდა მიხვდეს, რომ დიდძალას წარმოადგენს სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, რომელშიც მან უნდა მიიღოს დიდი აქტიური მონაწილეობა და მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ამიტომ 1922 წლის 8 მარტმა, მუშა-ქალთა საერთაშორისო დღემ, მძლავრად უნდა გადასძახოს ხმა მუშაობაში დისციპლინის დასამყარებლად. წარმოებისადმი შეგნებულად მოპყრობა, ქალთა სამუშაო ენერგიის განთავისუფლება წარმოების საშუალებანი, რომლითაც შეიძლება ქალის სრული და ყოველმხრივი განთავისუფლება.

1922 წლის 8 მარტი საერთაშორისო მუშა ქალთათვის არის უფრო ბრწყინვალე საზეიმო დღესასწაული, ვიდრე სხვა წინანდელი, რადგანაც აქამდი ეს დღე აერთებდა მხოლოდ დასავლეთ ქვეყნების მუშა ქალებს, ამ წელს კი პროლეტარიატის მებრძოლ ოჯახს ემატება ქალთა ძალების ახალი ნაკადული, — აღმოსავლეთის ხალხთა ქალები. აღმოსავლეთის ხალხთა ქალების შორის, განმანთავისუფლებელ მოძრაობაში განსაკუთრებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველმა ქალმა, ის ხელიხელ ჩაკიდებული თავის რუსეთის დასთან ერთად მიისწრაფოდა წინ. ჯერ კიდევ 1905 წელში. გურიის გლეხი-ქალები მოითხოვდენ პოლიტიკურ უფლებების გათანასწორებას. სოფლების და ქალაქების მოღვაწეობის თათბირზე, რომელიც მოხდა თბილისის გუბერნიაში, ამიერ კავკასიაში ერობის შემოღების შესამუშავებლად, დეპუტატთა რიცხვებში იყვნენ ქართველი ქალებიც. ამას გარდა ბევრი ქართველი ქალი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას თვით რევოლიუციონურ გამოსვლებშიაც. ისტორიამ დააკისრა ქართველ ქალს აღმოსავლეთის წინამძღოლობის დიადი როლი, მას უკან დგას დიდი ჯარი აღმოსავლეთის დამონავებულ ქალთა, რომლის მთელი ყურადღება მიქცეულია ქართველ ქალზე, როგორც აღმოსავლეთის ავანგარდზე, რომელსაც ის მიყავს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისკენ.

აღსდეგ ქალო, გააღვიძე მძინარი აჩქარე ჩამორჩენილები, გაიმართე წელში, უხელმძღვანელე აღმოსავლეთის დიდჯარს და მასთან ერთად ამაყად და გაბედულათ დაადექი მე-3-მე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისათვის მებრძოლ რიგებში. დე, იყოს 1922 წელი 8 მარტი შენთვის დღე ცოცხალი კავშირის და სოლიდარობის დამყარებისა, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მშრომელ ქალებთან, ძალების გასამაგრებლად კომუნიზმისათვის ბრძოლაში და პროლეტარიატის დიქტატურისთვის.

ფლორა.

კლუბები---კომუნები

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციამდი არა ერთხელ იყო წამოყენებული ბოლშევიკურ პარტიის მიერ კითხვა პროლეტარიატის კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მუშა ქალების მონაწილეობის და პარტიის ირგვლივ მათი შემოკრების შესახებ.

თუ სამოციან და სამოცდაათიან წლებში კითხვა მომუშავე ქალთა ჩვენი პარტიის მუშებთან, სრულ თანასწორ უფლებაზე, მიუხედავად კერძო ამხანაგების დაბეჯითებით მოთხოვნილებისა, რომელთა შორის განსაკუთრებებათ თვალსაჩინო იყო ბებელი, არ გადამწყდარა საბოლოოდ დადებითად განსაზღვრულ ნაბიჯებს მაშინაც სდგამდნენ მუშა ქალთა ჩასაბმელათ საერთო პროლეტარულ მოძრაობაში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კი, რომელმაც წამოაყენა სპეციალური დარგი საბჭოთა აღმშენებლობისა, ჩვენ კომუნისტურ პარტიის წინაშე დადგა სპეციალურ აპარატის ორგანიზაციის აუცილებლობისა კითხვა მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის დასაწყებათ.

სწორედ ასევე მოხდა საქართველოშიც—გასულ წელს; საბჭოთა ხელისუფლების დაწესების შემდეგ, მოწყობილ იქნენ პარტიულ კომიტეტებთან ერთად ქალთა განყოფილებები, რომლებსაც პარტიის მიერ დაკისრებული ჰქონდათ მუშაობა მშრომელ ქალთა კულტურულათ ასამაღლებლათ და მათ საბჭოთა და პროფესიონალურ აღმშენებლობაში ჩასაბმელათ. თუ რუსეთში ქალთა შორის მუშაობის ცენტრალური განყოფილების მიერ გამომუშავებული იქნენ სპეციალური დებულებანი რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის დასაწყებად, ამიერ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, არ შეიძლება ამ დებულებათა უბრალოთ გადმოღება. და ის ფორმები დაწყებითი მუშაობისა, რომელიც ნაჩვენებია მათში, უნდა შეცვლილ იქნან ადგილობრივი პირობების მიხედვით. აი რისთვის ამიერ კავკასიის ქალთა შორის მუშაობის განყოფილებათა ორგანიზაციის შემდეგ, მათ წინ დადგა კითხვა ახალი ფორმების გამომუშავების შესახებ, მუშაობის დასაწყებათ კავკასიის ქალთა შორის (ქართველებში, მუსულმანებში, სომხებში და სხვ.) დღეს უფრო სწორად და ჯერ-ჯერობით მიზანშეწონილად ითვლება ორგანიზაცია კლუბ—კომუნებისა, რომელთა დახმარებით მშრომელი ქალები საბჭოთა და პროფესიონალურ აღმშენებლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაცია კლუბ—კომუნებისა მიჩნეულია საუკეთესო ფორმად მუშაობის დასაწყებათ აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელ ქალთა შორის.

რას წარმოადგენენ თავის თავად კლუბები-კომუნები და როგორია მათი ამოცანა? მათ აქვთ იგივე კულტურულ განმანათლებელი ამოცანები, როგორც მუშა გლეხთა კლუბებს, მაგრამ ამის გარდა მათი დანიშნულება უფრო ფართოა სახელდობრ, გამრჯელ ქალთა კულტურულ ამაღლების გარდა, მათ უნდა ჩააბან ისინი წარმოებაში, საბჭოთა აღმშენებლობაში და ამ გვარად აჩვენონ ნამდვილი გზა არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიურ განთავისუფლებისაკენაც კლუბ—კომუნების წინაშე დაყენებულ ასეთი დიდი შინაარსის და მოთხოვნილობის ამოცანების გამო აუცილებელია მათი ორგანიზაცია გატარდეს მტკიცედ გამომუშავებულ გეგმის თანახმად და იმუშაონ კომუნისტური პარტიის იდეიურ ხელმძღვანელობის ქვეშ. მუშაობა გამრჯელ ქალთა მეტად ჩამორჩენილ ნაწილებში მოითხოვს იმ უპირატესობათა გამოაშკარავებას, რომელსაც კომუნისტური წყობილება აძლევს მთელ პროლეტარიატს, კერძოდ გამრჯელ ქალს.

ეს გარემოება მოითხოვს ჩვენგან, რომ კლუბ-კომუნაში, ყველა კულტურულ განმანათლებელი წრეების გარდა, როგორც ლიტერატურული, დრამატიული, წერა კითხვის და პოლიტიკური ცოდნის არსდებოდნენ სახელოსნოებში, სადაც მშრომელი ქალები საბავშო ქალები, საზოგადო სასადილოები, სამრეცხველო, რომელნიც მისცემენ საშუალებას გამარჯვებულ ქალებს განთავისუფლდნენ ოჯახურ ჩაგვრისაგან, და შეეჩვიონ საზოგადოებრივ მუშაობას. ამით ისინი რეალურად დარწმუნდებიან, რომ მათ შეუძლიათ, რომ ისინი უნდა იყვნენ თანასწორ უფლებიანი მუშა მამაკაცებთან.

კლუბ-კომუნები უნდა მოწყობილ იქნან, როგორც საერთოდ ყველა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები; განათლების სახალხო კომისარიატისა და სახალხო განათლების განყოფილებების მიერ; ყველა დაწესებულებები კი, რომლებიც თავს იყრიან კლუბ-კომუნის ირგვლივ, უნდა იმყოფებოდნენ იმ საბჭოთა ორგანოს ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც თავის მდგომარეობით განაგებს მათ: სახელოსნოები სახალხო მეურნეობის საბჭოს განმგებლობის ქვეშ, პროფესიონალური განათლების სკოლებში მთავარ პროფესიონალურ განათლების განმგებლობის ქვეშ და სხ.

ასეთი კლუბ—კომუნებით ქალთა განყოფილებები გაამრავლებენ პროლეტარიატის რიგებს ახალი მებრძოლებით კომუნიზმის გასამარჯვებლათ.

ალ.

მუშა-ქალის მონაწილეობა შრომის დაცვის საქმეში

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ წამოაყენა ჩვენ წინაშე ერთი უმნიშვნელოვანეს კითხვათაგანი—ეს არის კითხვა შრომის დაცვის შესახებ. საქართველოს პროფესიონალურ კავშირების მეორე ყრილობის მიერ აღნიშნული იყო დიადობა ამ კითხვისა და რეზოლიუციაში მოცემულია ამოცანები პროფესიონალურ კავშირებისადმი, გააღრმაონ შრომის დაცვის ორგანოების მუშაობა და ჩაიყოლიონ მშრომელთა ფართე მასები ამ საქმეში, რადგან მათ საჭიროებას და ტკივილს მხოლოდ თვით მშრომელი გაიგებს.

კერძო მწარმოებელთ და ვაჭართ, რომელთაც მიცემული აქვს ფართე უფლება საკუთარი ინიციატივის გამოჩენისა, არ უნდა მიაღწიონ ამ მოგებას. ისინი შეეცდებიან ქალებისა და მოზარდთა, როგორც მეტად სუსტი ელემენტების, შრომის ექსპლოატაციას. აი აქ შრომის დაცვის ორგანოები ვალდებულნი არიან არა მარტო დაიცვან მშრომელთა ინტერესი და გაფაციცებით ადევნონ თვალ ყური შრომის დაცვის ყველა დეკრეტების გატარებას, არამედ თავის ნაყოფიერი მუშაობით გასწიონ უნდა აგიტაცია კავშირებისა და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ.

სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებში და დაწესებულებებში აგრეთვე ირღვევა შრომის დაცვის წესები. ხან-და ხან ეს ხდება უბრალოდ, ადმინისტრაციის უვიცობის გამო, ხან და ხან კი ძველი ჩვეულების თანახმად, ხშირად შრომის დაცვის დარღვევა ვრცელდება იმავე ქალებზე და მოზარდებზე, ასეთი მოვლენები უნდა ძირიანად აღმოიფხვრას პროფესიონალურ კავშირთა შრომის დაცვის განყოფილებათა მიერ.

შრომის დაცვის საქმეში, მუშა ქალის მონაწილეობა ნაკარნახევია თვით სინამდვილით. ვინ უკეთ გაიგებს გამრჯელი ქალის, ან მცირეწლოვანისა და მოზარდის გაჭირვებას. რა საკვირველია თვით ქალი. ვინ უფრო ძლიერად იგრძნობს შეურაცყოფას, კიდევ იგივე ქალი. ამისთვის ის შეტყორცნილ უნდა იქნას ას საქმეში.

ქალი, იღებს რა მონაწილეობას შრომის დაცვის საქმეში, უნდა გამოიჩინოს მაქსიმუმი თავისი მზრუნველობის; ის გაფაციცებით თვალყურს უნდა ადევნებდეს ფეხმძიმე ქალთათვის თავის დროზე შვებულების მიცემას, მას, რომ ფეხმძიმეობის პერიოდში ქალები არ აიძულონ ასრულონ მძიმე სამუშაო, რომ ნორმალურ დროზე მეტი მან არ იმუშაოს; აგრეთვე თვალყური ადევნოს მცირე წლოვანთა და მოზარდებს, რომ ისინი ასრულებდენ მეტად მსუბუქ სამუშაოს. საერთოდ ადევნონ თვალყური რათა არ დაირღვეს მშრომელთა უფლება.

რომ ქალს ჰქონდეს შეძლება შეასრულოს ზემომოყვანილი მოვალეობა, ის უნდა იღებდეს მონაწილეობას ამ საქმეში და წარმოებებშიც, სადაც მას შეუძლია ყოველ დღიურათ გაეცნოს თავის ამხანაგების მუშაობას.

ამ გვარად ქალი მუშაობს რა შრომის დაცვის ორგანოებში, იღებს მონაწილეობას კავშირების ორგანოებში და საბჭოთა აღმშენებლობაშიაც.

მ, გუივკი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშა კომუნისტ-ქალთა თათბირის გამო

22 იანვარს ქალთა შორის მუშაობის საერთაშორისო სეკრეტარიატის წარმომადგენელ ამხ. კასპაროვას მიერ მოწვეულ იქმნა ქ. თბილისის პასუხისმგებელ მუშაკ კომუნისტ-ქალების თათბირი, საქართველოში ქალთა შორის მუშაობის საკითხის გამოსარკვევად. ამხ. კასპაროვას შინაარსიან მოხსენების შემდეგ, სადაც მან აღნიშნა ქალთა შორის მუშაობის მთელი მნიშვნელობა, ურომლისოდაც შეუძლებელია კომუნიზმისათვის წარმატებით ბრძოლა, მიღებულ იქმნა დადგენილება რომლის მიხედვით ყველა კომუნისტი ქალები აუცილებლად უნდა ღებულობდენ მონაწილეობას ქალთა შორის მუშაობაში.

თათბირმა უმთავრეს სამუშაოდ სცნო:

რ. კ. პ. ც. კ. კავბიუროს ქალთა განყოფილებასთან მოწყობა ისეთი კომისიისა, რომელიც შეისწავლის აღმოსავლეთის ქალთა ეკონომიურ პოლიტიკის, და ოჯახურ ყოფა ცხოვრების მდგომარეობას. დასახელებული კომისიის მოწყობა მიენდოს ამხ. შავერდოვას.

2. მოწყობა მშიერთა დასახმარ ბიუროსი სადაც არჩეულ იქნენ ამხანაგები: წულუკიძე, ეგიკოვა, კონსტანტინოვიჩი, კიკალეიშვილი, თუმანოვა და გასვიანი.

3. პროსტიტუციასთან და უმუშევრობასთან მებრძოლი კომიისიის მოწყობა მიენდო ამხ. ალაჯალოვას.

4. არჩეულ იქმნა ს. კ. პ. ც. კ ქალთა განყოფილებასთან ლიტბიურო, სადაც შევიდენ ამხ. ამხ. შავერდოვა, წულუკიძე, ბიბინეიშვილი, ვარდანიანი, გასვიანი და დალნიაია.

ამის გარდა თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომ თვითეულ კომისარიატში უნდა გამოყოფილ იქმნას ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი მომუშავე კომუნისტი ქალი, რომლის ვალდებულებაც იქმნება პასუხისმგებელ მომუშავეთაგან წრეების დაარსება, სადაც მუშავდება ლექციების და მოხსენებანის გეგმა, რომელიც უნდა გაკეთდეს ქალთა კრებებზე აუცილებლად, გამომუშავება თეზისების ამ მოხსენებებისთვის საბჭოთა აღმშენებლობის იდეათა პოპულიარიზაციის მიზნით.

თათბირის მიერ გამოყოფილ იქმნენ პასუხისმგებელი ამხანაგები.

შემდეგ დაწესებულებებში:

1. განათლების კომისარიატი—ამხ-ბი: ორახელაშვილი, ჯაფარიძე, ეგიკოვა და კონსტანტინოვიჩი.
2. შრომის კომისარიატი—ამხ. მახარაძე.
3. ჯანმთელობის კომ.—ჯევაირა ხუდადაშვილი.
4. იუსტიციის კომ.—ამხ. ნუშიკ ზავარიან.
5. პროფკავშირთა საბჭო.—ამხ. ესსენი.
6. სოც. უზრუნვ. სახ. კომისარ.—ამხ. ნუცუბიძე.
7. გზათა პროფ-კავშირი—ამხ. ვარტანიანი.

ყველა ამორჩეული ამხანაგები ვალდებული არიან დაუყონებლივ შეუდგენ თავიანთ მუშაობას, როგორც კომისიების მოსაწყობად, ისე კომისარიატებში მუშაობის დასაწყებად. ამასთანავე ს. კ. პ. ც. კ. ქალთა განყოფილების მიერ ორი კვირის შემდეგ მოსაწვევ თათბირზე, ყველა ამხანაგები მოვალეა გააკეთონ მოხსენება ამ ხნის განმავლობაში მათი მუშაობის შესახებ და წარმოადგინონ გეგმა შემდეგი მუშაობისა.

ზამთრის სუსხი

შემოდგომა მიიწურა, მიეფარა მზეც ღრუბლებს მთლად,
ცაში ნამსა შეაცია და აქცია სპეტაკ თოვლად,
ჩამოეშვა მიწაზედა, დაგვეფინა ძირს ლამაზათ,
ალერსითა სახეს გვკოცნის, გვეფინება ფიანდაზათ.
დაუბერა ზენა ქარმა და მზემ თვალი გააბჟუტა
ღრუბელთ გროვას მზისა სხივმა დააღწია თავი ცოტა,
გადმოჰხედა თეთრ სავანეს, აატირა იგი წუთსა
გაალვიძა გზის რუები, გაეჯიბრნენ ერთმანეთსა
ქარმა მხარი შეიცვალა, მიაყარა ღრუბლები მზეს,
მრისხანებით დაუბერა, შეუჩერა ძარღვი რუებს,
წყალიც გზაზედ გაუფანტა, არ დასტოვა ერთი ცვარი
მოუჭირა სიცივემა და გაჰყინა მთა და ბარი.
გვიმზადებს ყინვის ბორკილებს, უნდა მას რომ გზა შეგვიკრას
ჩვენი წმინდა მისწრაფება, სურს გულშია, რომ ჩაგვიკლას,
ყველაფერი დაგვავიწყოს, მიუხაროთ რომ მას თავი
და შემდეგა დაცინვით მან, გაგვითხაროს ჩვენ საფლავი.
მაგრამ ვინ მისცემს მის ნებას, როცა აქვე ვართ დარაჯათ
გავკაფავთ გზას სიმართლისას, ვიმოქმედებთ მტრის სატანჯათ,
მხოლოდ იგი ბორკილები ჩვენ გვჭირდება მათ საჭედათ,
რადგან მისვე იარალით უნდა დავცეთ მტერი მიწათ.

ერიკო.

ამხ. მუშა ქალებს

ბევრი შავი დღე გვინახავს,
ბევრი რამ მოგვითმენია.
მაგრამ დავამხეთ მონობა.
დღეს გამარჯვება ჩვენია.

აწ ვეღარავინ გაბედავს
ჩვენს დევნას დაბრიყვებასა,
ვერც ჩვენი აზრის შელახვას
ვერც ჩვენის შრომით კვებასა.

ვარა ხერხეულიძე.

წერილი მუშა-ქალისა

ძვირფასო ამხანაგებო!

შეიტანეთ თქვენი წვლილი პროლეტარულ ლიტერატურაში, სწორეთ წერილში, გაგვიზიარეთ თქვენი აზრები, გრძნობები და განცდები, სწერეთ თქვენ ცხოვრებაზე, მუშაობაზე, სიხარულსა და მწუხარებაზე.

ეხლა ქალისთვის გაიხსნა ფართო ასპარეზი საქმიანობისა და ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მით. ნუ შეშინდებით იმით, რომ თქვენ სწორად ვერ გამოსთქვამთ აზრს; ის ამხანაგები, რომლებიც მეტი განვითარებულნი არიან, გაასწორებენ შეცდომებს და გასწავლიან თქვენც. მხოლოდ ამგვარად, ვიზიარებთ რა ცოდნას, აზრებს, ჩვენ შეგვიძლია დავუახლოვდეთ ერთი მეორეს და გავიგოთ ჩვენი საერთო საჭიროებანი, ჩვენი სიხარული. თქვენ ამხ. მუშა-ქალებო, მომუშავენო სხვადასხვა წარმოებებში, დაწესებულებებში, არჩეულნო ჩვენ მიერ რომელიმე კომისიებში, მოგმართავთ მუშა-ქალთა სახელით, რომ თქვენ სწეროთ თქვენი მუშაობის შესახებ. ამგვარად, შევსძლებთ შეთანხმებული მუშაობით მოვიცილოთ ყოველივე ცუდი და თანდათანობით გავასწოროთ შეცდომები, კარგათ მუშაობით.

მხოლოდ მეგობრული შეთანხმებულ მუშაობით, ჩვენ მივაღწევთ ჩვენი დანგრეული, მეურნეობის აღდგენას.

მუშა ქალი კ. ლ.

ქრონიკა

◆ **ფოთის** კავშირში ირიცხება 1500 ქალი. არ ყავთ ინსტრუქტორები და არ აქვთ ლიტერატურა ქართულ ენაზე.

◆ **ახალ-ქალაქი**. ქალთა გან. გამ. მიერ სამაზრო სასურს. კომიტ. საწყობში, საავადმყოფოში დანიშნულია ქალი.

◆ **ქუთაისი**. ყველა ინსტრუქციები მიღებული ცენტრიდგან დაგზავნილია რაიონებში, ყოველ კვირას ხდება სანიტარული მეცადინეობა, მონაწილეობას იღებენ უპარტიო ქალებიც.

◆ **შორაპნის მაზრა.** ქალთა გან. გამგ. მიერ მიღებულია 50 ფ მატყლი მიღებულია ზომები სათანადო სახელოსნოს გასახსნელათ, იმ მიზნით რომ ქალებს მისცენ სამუშაო. დიდი ინტერესით ესწრებიან კრებებს და კიდეც ეწერებიან პარტიაში.

◆ **ჭიათურის რაიონში.** არის სახელოსნო ექვსი დაზგით და ჩულქის საქსოვი მანქანით. დამუშავებულის ნაწილი გაყიდულია წლიურ ხარჯების დასაფარავად.

◆ **ზუგდიდი**. მუშავდება ინსტრუქციები, თეზისები, მოხსენებანი და იწვევენ კრებებს, სადაც მათ უხსნიან ქალთა განყოფილების მნიშვნელობას და ამოცანებს.

◆ **სენაკის მაზრაში.** ინსტრუქტორათ ინიშნებოდენ კაცები, რის გამო მუშაობა ნელის ნაბიჯით მიდიოდა. მაგრამ ინსტრუქტორებათ ქალების არჩევის შემდეგ მუშაობა გამოცოცხლდა.

◆ **ოზურგეთი**. პარტკომმა დაუგზავნა ცირკულიარები რაიონებში პასუხისმგებელ მუშაკ-კომუნისტებს, რომ იმათ გაეწიათ აგიტაცია პროპაგანდა ქალთა შორის. იყო გადათარგმნილი ბროშიურები ქართულ ენაზე სამ. სასწავლ. საქსოვ გან. სასარგებლოთ გამართულ იქმნა საღამო საიდანაც შემოვიდა 2,500.000 მანეთი. გახსნეს კლუბი სადაც იმართება უპარტიო კრებები ქალთა შორის.

◆ **ბათომი.** საბჭოში გავიდა 18 ქალი ყველა კავშირებში ირიცხება 2,000 ქალი.

◆ **ბორჩალო.** სოფელ სადახლოში მოწვეულ იქმნა კრება რომელსაც დაესწრო 25 მუსულმანი-ქალი, არჩეულ იქმნა სამი დელეგატები: მადშია ბადალ კიზი, ეთარალი კიზი, ტელი ალი კიზი სოფელ, ლაშბანში მოწვეულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო 27 მუსულმანი ქალი, აირჩიეს ერთი დელეგატი ზილფი ხალლი კიზი.

„ოქტომბრის რევოლიუციამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქალის ყოველ მხრივ განთავისუფლებას. ამ განთავისუფლების დაგვირგვინება დახმარებას გაუწევს მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვებას“.

ნ. კრუპსკაია.

ტირაჟი 10,000

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, [illegible] 1, № 4